რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

კვირა, 12 ნოემბერი 1917 წ.

ერთი ნომერი ფასი 15 კაპ.

გაზეთი დგას: ერთი თვით 8 მან. 85 კაპ., ცალკე ნომერი ყველგან 15 კ. სამღვდელოებისთვის ორჯერ ფასი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 8 ჯ. საჭიროა განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ს. საათისა. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მოწერების და განცხადებების მისაღები ადგილი ქ. თფილისში შემდეგი: Тифлисъ почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". ხსენ ადრესით გამოუზავნიათ დღეს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრისპექტი № 12. Тифлисъ Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 195 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 195

ხმა მიეცით სიას № 1.

ამხანაგებო და მოქალაქენო! ამიერ კავკასიის ამომრჩევლნო!

ხმა მიეცით ხალხის, მიწისა და თავისუფლებისთვის! ხმა მიეცით ამიერ კავკასიის ერთა შორის სოლიდარობის და მშვიდობიანობის განმტკიცებისთვის!

ხმა მიეცით სოციალ-დემოკრატ მენშევიკების სიას № 1.

ამიერ კავკასიის გლეხებო! სოციალ-დემოკრატი—მენშევიკები პირველად გამოვიდენ ამიერ კავკასიაში მემამულეთა წინააღმდეგ **საბრძოლველათ!** მათ პირველმა გაიგეს თქვენი გაჭირვება! მათ შეუძლიათ ყველაზე უკეთ დაიცონ თქვენი ინტერესები და იბრძოლონ მიწებისთვის დამფუძნებელ კრებაში. **ხმა მიეცით ს.-დემოკრატ მენშევიკების სიას № 1!**

ამიერ კავკასიის მუშებო! ყველამ, როგორც ერთმა კაცმა, ხმა მიეცით ჩვენ პარტიას, **სოციალ-დემოკრატების პარტიის სიას № 1.**

ჯარის-კაცებო! სოციალ-დემოკრატი მენშევიკები უპირველეს ყოვლისა მოსთხოვენ დამფუძნებელ კრებას მიიღოს ენერგიული ზომები დაუყონებლივ ჩამოგდებულ იქნას დემოკრატიული ზავი. ჩვენ პარტიას ნამდვილი პირდაპირი გზა აქვს ზავის ჩამოსაგდებათ. **ხმა მიეცით სოციალ-დემოკრატ მენშევიკების სიას № 1.**

ამიერ კავკასიის ერებო! სოციალ-დემოკრატი მენშევიკები ამიერ კავკასიის ერთა სოლიდარობის და მშვიდობიან ცხოვრების ქვაკუთხედია, ერთა თავისუფალ განვითარების ფხიზელი დარაჯია! ნაციონალურ დაჩაგვრის შეურიგებელი მტერია! ამიერ კავკასიის ერთა სოლიდარობისა, ერთა თავისუფალ განვითარებისა, ერთა უმცირესობის უფლებათა დაცვისათვის—**ხმა მიეცით სოციალ-დემოკრატ—მენშევიკების სიას № 1.**

ამხანაგებო და მოქალაქენო! ამიერ კავკასიის ამომრჩევლნო! ხალხის, მიწისა და თავისუფლებისათვის, ამიერ კავკასიის ერთა სოლიდარობის და თავისუფალ განვითარებისათვის

ხმა მიეცით სოციალ-დემოკრატ—მენშევიკების სიას **№ 1.**

დრმათ დამწუხრებულნი მამა და ძმები ილიკო, ექვთიმე და ბადლონე თავაძენი და რძლები კატო, ივლიტე და სირიკო; ძმის შვილები ზინა, ნატაშა, და რეჯანი, ვერვენტი, ვასილი და ბიძა და ბიცოლა ყველამი და ირინე ამდელობელი გულდათუთქულ ვაუწყებთ მის ამხანაგებს და მეგობრებს

ანდრია სესიაშვილის თავაძის

გარდაცვალებას, რომლის წირვა და პანაშვიდი გადაბდილი იქნება სოფელ ზემოხეთში, წმ. გიორგის ეკლესიაზე 14 ნოემბერს, სამშაბათს, დილის 9 საათზე. ვთხოვ მის ამხანაგებს მობრძანდეთ და პატივი სცენ. 1—1

ეფემია კარიჭის ასული და ივანე ათანასეს ძე ბერეგოვოები გულითადი ცნობა რებით აცნობენ ნათესავებს და ნაცნობებს ვერაგულათ მოკლულის პირველს ძვირფასის მეუღლის და მეორეს მამის

ათანასე ბერეგოვოის

დაკრძალვა იქნება კვირას, 12 ნოემბერს, დილის 10 საათზედ, წმ. ნინოს სასაფლაოზედ. ადრესი: ანტონოვის ქუჩა, მეცხრე უბანი. 1—1

თფილისის ქალაქის საბჭო

აცნობებს თფილისის მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ

დამფუძნებელი კრების არჩევნები

მოხდება 12 და 13 ნოემბერს, დილის 9 საათ.—ხალამის 9 საათამდე და 14 ნოემბერს, დილის 9 საათიდან—ნაშუადღევის 2 საათამდე.

ამიერ კავკასიის კოოპერატივების ურილოგთა საგზო.

20 ნოემბერს თფილისში გაიხსნება **კოოპერატიული კურსები** კოოპერატივებში მომუშავეთა და იმ პირთათვის, რომელნიც მოისურვებენ კოოპერატივებში მუშაობას.

კურსებზე მთავარი ყურადღება მიქცეული მომზმარებელ და საკრედიტო კოოპერატივებში ანგარიშების და საქმის წარმოებას.

კურსების პროგრამა:

1. პოლიტიკური ეკონომია	12 ს.	ლექტორი	გ. ი. გეხტმანი.
2. კოოპერაციის თეორია	12 ს.	„	კ. პ. კანდელაკი.
3. კოოპერაციის ისტორია	8 ს.	„	შ. გ. გამყრელი.
4. საკოოპერაციო კანონ დებლობა	8 ს.	„	რ. ბ. აგაბაბოვი.
5. ბუღგალტერია	8 ს.	„	ა. ს. ახატოვი.
6. მომხმარებელ კოოპერატ. ანგარიშების წარმოება	36 ს.	„	შ. ზ. გოგებაშვილი.
7. საკრედიტო კოოპერატივ. ანგარიშების წარმოება	36 ს.	„	ა. ბ. გრიგოლია.
8. მოწმობა და გამგებლობა მომხმ კოოპერატივებისა	10 ს.	„	შ. ზ. გოგებაშვილი.
9. მოწყობა და გამგებლობა საკრედ. კოოპერატივებისა	10 ს.	„	ა. ბ. გრიგოლია.
10. კავშირების წყობილობა	4 ს.	„	კ. პ. კანდელაკი.
11. საზურსათო საქმის მოწყობა	4 ს.	„	ვ. გ. გამყრელი.

კოოპერატივების მიერ გამოგზავნილ პირთათვის კურსები უფასო იქნება; გარეშე პირნი, რომელნიც მიიღებიან კურსებზე თუ თავისუფალი ადგილები იქნება, გადაიხდიან 30 მ.

კურსების დასრულების შემდეგ მსურველთათვის დანიშნული იქნება გამოცდები და გამოცდის შემდეგ მიიღებენ შესაფერ მოწმობებს.

საბჭოს მიერ მიღებულია ყველა ზომები, რომ პროვინციიდან გამოგზავნილი მსმენელნი უზრუნველყოფილნი იყვნენ ბინით და სურსათით შედგომიან ფასებში (პროვინციიდან ჩამოსულებმა უნდა იქონიონ საბანი და ბალიში).

კურსებზე ჩაწერა მიიღება: ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირში, თბილისი, მიხეილის ქუჩა № 178. 3—2

დამფუძნებელი კრება და მუშათა პარტია

მოქალაქენო! თქვენს ხელშია დიდი რევოლიუციის ბედი.

ნაციონალისტები და ყველა ჯურის კონტრრევოლიუციონერები, ის პარტიები, რომელნიც მუდამ იბრძოდენ ნამდვილი თავისუფლების დამკვიდრების წინააღმდეგ, დღეს თქვენი ნდობის მოპოვებას ცდილობენ, მათი გზით რება რევოლიუციის დასამარება იქნება.

ამხანაგებო და მოქალაქენო!

რევოლიუციის მეთაური იყო, არის და იქნება რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (მენშევიკების) და კერძოთ კავკასიის სოციალ-დემოკრატია. ის იცავდა და ერთგულათ დაიცავს მუშათა და გლეხთა, მთელი დემოკრატიის ინტერესებს. რევოლიციის ბნელ ხანაში, როცა მეფის მთავრობა სასტიკათ სდევნიდა თავისუფლებისათვის მებრძოლთ და მათ ციმბირით, კატორღით და სახრჩობელებით უმასპინძლდებოდა, ხალხს გვერდში ედგა მხოლოდ და მხოლოდ სოციალ-დემოკრატია და მთელ ძალებს შეძლებისდაგვარად უმასპინძლდებოდა. სოციალ-დემოკრატია იყო მეთაური რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობისა.

ხმა მიეცით სოციალ-დემოკრატიას, მის სიას № 1.

კავკასიაში მრავალი ერი ბინადრობს. სოციალისტები მათ ერთი მეორეს უსისხლებენ და ერთი მეორის წინააღმდეგ აგიზგიზებენ, მათი მიზანია ერთა შორის შუღლისა და მტრობის გაღვივება და მით დემოკრატიის დაჩაგვრება. მხოლოდ სოციალ-დემოკრატია მუდამ თავგამოდებით ესწრაფვოდა და ესწრაფება ერთა სოლიდარობას. 1905 წელს, როცა სომეხთა და თათართა შორის ხოცვა-ჟლეტა დაიწყო და ძმათა სისხლი იღვრებოდა, მუშათა პარტია გამოვიდა სოლიდარობის ერთგულ დამცველათ და ძმათა შორის შუღლს ბოლო მოუღო. **ვისაც ხურს ერთა შორის სოლიდარობა, ხმა მიეცით მუშათა პარტიის სიას № 1.**

ამხანაგებო და მოქალაქენო! დღეს თქვენი ინტერესების დაცვას ერთგული პარტია ჩამოუღობს. გუშინდელი რეაქციონერები, დღეს თავისუფლების დამცველთა ქურქში გამოკაზმულან და თქვენგან ნდობის გამოცხადებას ითხოვენ. თქვენ რასაკვირველია არ დაუჯერებთ მათ ლიტონ განკხადებას, არ აჰყვებით მათ რეკლამას და მოისთხოვთ დასაბუთებას, რიდის ან სად დაიცვეს მათ მშრომელი ხალხის ინტერესები. არ დაუჯეროთ ადვირახსნილ რეკლამისტებს, რომელნიც მყვირალა ფრაზებით თავისი დამპალი პარტიული საქონლის გასაღებას ცდილობენ ხალხის ინტერესებს მუდამ იცავდა და შემდეგშიც ერთგულათ დაიცავს მხოლოდ მშრომელთა პარტია, სოციალ-დემოკრატია. ჩვენმა პარტიამ კავკასიაში პირველათ აღმრიცხა დროშა მემამულეთა ბატონობის დამხობის. სოციალ-დემოკრატია 15 წელზე მეტია მედგრათ ებრძოდა მსხვილ დავად-აზნაურობას და გლეხებს გვერდში ედგა, რომ მათთან ერთათ შეემცირებია ღალა ხიზნებისა, დროებით ვალდებული გლეხებისა და მთელი გლეხ-კაცობისათვის გადაეცა ადგილ-მამული, რომელსაც დღემდის ფლობდენ ეკლესიები, მონასტრები, საუფლისწულო უწყება და მემამულენი. **სოციალ-დემოკრატია გლეხთა მოხარჩლე პარტიაა. ამხანაგებო გლეხებო! ხმა მიეცით სიას № 1.**

ამხანაგებო მუშებო! თქვენ კარგათ იცნობთ თქვენსავე პარტიას, რომელიც ჭირში და ლხინში თქვენთან იყო და მუდამ დარჩება. მისი მეთაურობით თქვენ ეკვეთეთ მეფის მთავრობას 1905 წელს და შეარყიეთ მისი ბატონობა, რეაქციის ხანაში თქვენ მუშათა პარტიასთან ერთათ გაიზიარეთ მეფის ჯალათთა რისხვა, დღეს სოციალ-დემოკრატია რევოლიუციის ბაირაღტარია და თქვენ მისი ხელმძღვანელობით მიემართებით რევოლიუციის საბოლოო გამარჯვებისაკენ, რომ შემდეგ გზა გაიკვალოთ ბედნიერების სამეფოსაკენ, დაამკვიდროთ სოციალიზმი და სამუდამოთ მოსპოთ ყოველგვარი უსამართლობა. **ხმა მიეცით თქვენს პარტიას, მუშათა პარტიის სიას № 1.**

სოციალ-დემოკრატია რევოლიუციის მეთაურია, მისი გამარჯვება რევოლიუციის გაძლიერება იქნება. **ხმა მიეცით რევოლიუციის ხელმძღვანელ პარტიას, სოციალ-დემოკრატიას. ხმა მიეცით სიას № 1.**

ჩვენი კანდიდატები

თფილისელი პარტია იღებს მონაწილეობას დღევანდელ არჩევნებში, თფილისელ საარჩევნო ნომერს შემოგთავაზებენ, მოქალაქენო. ყველა ერთგულება გეფიცებიან, ყველა გპირდებიან თქვენი ინტერესების მეტად დამცველობას.

ვის ენდობით თქვენ? ნუ თუ თქვენი ნდობის ღირსია ყველა ის, ვინც ლამაზ სიტყვებს ამბობს?

სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა!

საქმემან მათმან გამოაჩინონ ისინი! მართლაც, სად იყვენ ეს ვაჟბატონები მაშინ, როცა თქვენ თვითმყრობელობის ძირიც უდგეს ქვეშ გმინავდით? სად იყვენ ეს მესხიშვილები, ლასხიშვილები, ვერმიშვილები და ძმანი მათნი. იმათგან ზოგი თბილ ადგილებზე ისხდენ, ზოგი ხალხის მტერთა რაზმში მოღვაწეობდა. ბრძოლა მათთვის უცხო ხილია.

არც ერთის სიის კანდიდატებს თქვენ არ იცნობთ გარდა სიის № 1-სა. მხოლოდ სიის № 1 კანდიდატებთან ერთათ გიწევიათ თქვენ ცხოვრების ძირიც უდელი, მხოლოდ მათთან ერთად გიწარმოებიათ სასტიკი ბრძოლა.

მართლაც, ვინ არიან ჩვენი კანდიდატები?

1) **ნოე ჟორდანია.** ვინ არ იცნობს მას, ბრძოლაში გაჭედრაფებულს, მთელი თავისი ახალგაზრდობა ბრძოლაში გაატარა. ჯერ კიდევ ოცხმოცდა ათიან წლებში, როცა ცხოვრების მცონარე ინტელიგენცია მოქცეოდა სათავეში და ხალხი ნუღათ იყო გამოცხადებული, ნოე ჟორდანია მედგრად შეებრძოლა „მამებს". არ შეუშინდა არც მათ დაცინვას და წყევა-კრულვას, არც მარტოობას. „მამები" დამარცხდენ. მას შემდეგ ის მეთაურობს კავკასიის მუშათა მოძრაობას. ეს ცოტაა. მან ჩაუყარა საძირკველი მარქსიზმს ჩვენში. მის ნაწერებზე აღიზარდა ჩვენი ახალთაობა. გარდა ამისა თუ ჩვენში ეროვნული კაციშვილობა მორალურათ მაინც უძლური და შერცხვენილია—ეს უმთავრესათ ნოეს წინამძღოლობის მეოხებით მოხდა.

ბევრი დევნა და ტანჯვა გადაუტანია მას მეფის ჯალათებისაგან, ბევრი უსამართლობა უგემნია ჩვენი მცონარე ინტელიგენციისაგან, მაგრამ ის მაინც გმაყვა სდგას ბრძოლის ველზე ვით ას წლოვანი მუხა. ცხადია ის შესძლებს დანაპირების ასრულებას. მისი კანდიდატურა თვედებია იმის, რომ თქვენს ინტერესებს მედგარი დამცველი ეყოლება.

ეი მეორე კანდიდატიც. ეს არის

2. **ირაკლი წერეთელი.** მას მთელი რუსეთი იცნობს. ჯერ კიდევ მეორე სითბობრომში (დუმაში) ისახელა თავი. ის სახელოვან სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ფრაქციის მეთაური იყო. ვის არ ახსოვს მისი მკვეთრი სიტყვები სტოლიპინის რეჟიმის წინააღმდეგ! სტოლიპინი ხედავდა, რომ საჭირო იყო სოციალ-დემოკრატიის ალაგმვა. მან გარეკა დუმა და მთელი ფრაქცია დაატყვევა. წერეთელს და მის ამხანაგებს შეეძლოთ გაქცეულიყო თავის შველა, მაგრამ მათ ეს არ ჩაიდინეს. ის ამაყათ წარსდგა მეფის მთავრობის წინაშე და სასჯელათ ბორკილები მიიღო. მაგრამ არც კატორღაში და ციმბირში არ დავიწყებია მას ხალხი. რევოლიუციამ მას თავისუფლება დაუბრუნა. ჯანით სუსტი და ფლონი, ის პეტროგრადის ნესტიან ჰაერში ეწვა ატანილ შრომას.

დღესაც, როცა უპასუხისმგებლო დემაგოგებმა პეტროგრადი ხელში ჩაიგდეს და ცხოვრების უზომო არეულ-დარეული შექმნეს—წერეთელი ისევ იქით გაეშურა.

ყველაფერი ხალხისთვის, არაფერი თავისთვის—თამამათ შეუძლია სთქვას თავის თავზე წერეთელმა.

3. **კ. ჩხეიძე.** ეს ჩვენი ნიკო ჩხეიძეა, ჩვენში კარლოს სახელით ცნობილი, როგორც მარქსიზმის ღრმა მცოდნე. დიდი ხანია იცნობს მას ხალხი, ის მესაზე და მეოთხე დუმის დეპუტატი იყო. მისი ხმა მედგრათ გაისმის მას შემდეგ მთელს რუსეთში. ის რევოლიუციის ერთი მეთაურთაგანია იმ თავიდან. მთელი

ამიერ-კავკასიის ამრჩეველნო

ამხანაგებო და მოქალაქენო, გაეშურეთ საარჩევნო უთებისაკენ! მოიხადეთ დიადი მოქალაქობრივი ვალი

გახსოვდეთ, რომ დღეს თქვენ უნდა გამოსჭედოთ რუსეთის რესპუბლიკის მომავალი!

ზავისა, მიწისა და თავისუფლებისათვის ხმა მიეცით სიას № 1.

მიერს მტრობა და აშუღლი ამიერ-კავკასიის ერთა შორის!

გაუმარჯოს მშურ სოლიდარობას და ამიერ-კავკასიის ერთა მშვიდობიან ცხოვრებას, ხმა მიეცით სიას № 1.

მიერს სამოქალაქო ომი და მმათა სისხლის ღვრა! გაუმარჯოს გაერთიანებულ დემოკრატიას!

ამხანაგებო და მოქალაქენო! მიაშურეთ საარჩევნო უთებს და ხმა მიეცით სოც.-დემ. მუშ. პარტიის (მენშევიკების) სიას № 1.

შვიდი თვის განმავლობაში ებრძოდა ისბალშევიკების ავანტიურას და ღირსეულათ ეტაპრა პროლეტარიატის დროშა. ხოლო როცა ომის მიერ გამოწვეულმა ცხოვრების არევდარევამ ჯარს მოთმინება დაუკარგა, ჩხეიძის მოწოდება დარჩა ხმათ მღიდებლისა უდაბნოსა შინა. საუბედუროთ, ნაყოფიც იგემა რუსეთმა: დღეს საშინელი ანარქია გამეფებული, ძმა ძმის სისხლსა ღვრის. ვის შეუძლია თავის ავტორიტეტით და ჭკუა-გამოცდილებით ამ უბედურების მოსპობას ხელი შეუწყოს? რასაკვირველია, ჩხეიძეს.

4. **ეგეგნი ვასეპკორი**, რომელმაც სახელი გაითქვა მესამე სახელწიფო სათათბიროში, რომელიც მეოთხე სათათბიროშიაც იქნა არჩეული, მაგრამ ჩვენი ფედერალისტების ხრიკების წყალობით, მაშინდელ ბიუროკრატიის მიერ სიიდან ამოშალეს. ის დღეს კავკასიის რევოლუციონურ მოძრაობის ერთი მეთაურთაგანია.

5) **არშაკ ზურაბოვი**—ყოფილი დეპუტატი მეორე სათათბიროსი და წევრი სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის. წერეთელთან ერთად დაჯილი. ის მხოლოდ რევოლიუციამ გაანთავისუფლა.

6—7) **ნოე და ილიდორე რამიშვილები**, რომელთაც თავის სიცოცხლის ნახევარი ციხეებში და გადასახლებაში გაუტარებიათ მუშათა და გლეხთა ინტერესებისთვის ბრძოლისათვის.

ჩხენკელი, სკობელევი, მუშა ჯიბლაძე, სმირნოვი, ბეგზადიანი, არსენიძე, ლორთქიფანიძე და სხვები. ყველა ხალხის ინტერესებისთვის ბრძოლაშია გამოწრთობილი, არც ერთს მათ განს თბილს ადგილებზე არ უზრუნია. ხალხიან ყოფნა—ეს მათი სულიერი მოთხოვნილებაა, ეს ჰაერია მათთვის.

და ხალხიც მათ მისცემს ხმას.

ხმა მიეცით ხიას № 1.

ამრჩევლებს

უუთებისკენ!

ვეღირსეთ. მოლოდნი გაგვიმართლდა. დღეს პარველად მივალთ უუთებთან დამფუძნებელ კრების წევრთა ასარჩევათ. დღეს უნდა გვირჩიოთ ჩვენი დეპუტატები.

„რუსეთი დიდია, მაგრამ წესრიგი არ მოეპოებაო“—ათას წელიწადზე მეტია, რაც ეს თქვეს და ამ ხნის განმავლობაში ამ მწარე დახასიათებას მნიშვნელობა არ დაუკარგავს.

არა წესრიგი იყო. ეს იყო წეს-რიგი ერთი მეორე მდიდრების მიერ დარიბის დასამორჩილებლათ. დეპუტატებიც იყვნენ ხალხში, კრებებიც იმართებოდა. მაგრამ ეს იყო იმავ მდიდრების მოჭირნახულენი. ასეთი იყვნენ ვეზირები და კარის-კაცები, ეპისკოპოსები და სხვა დიდებულნი.

კანონიც იყო. მაგრამ ეს იყო კანონი უმრავლესობის დამჩაგვრელი. სათავეში იჯდა მეფე, რომელიც „ნებითა ღვთისათა“ განაგებდა ქვეყანას, ე. ი. ის ეხლოლად ღვთის წინაშე ითვლებოდა პასუხს, სანამ ცოცხალი იყო და ამ ქვეყანად ბძანდებოდა, მას ვერავინ მოსთხოვდა პასუხს.

ერთს დიდს უდაბნოს წარმოადგენდა რუსეთი.

ხალხის მოძრაობამ ძირს ჩამოყარა ამ უდაბნოს მეკლტუღნი. დღეს უნდა აშენდეს ახალი წყობილება, უნდა დაწყარდეს ახალი ფუძე. ეს უნდა გაკეთოს დამფუძნებელმა კრებამ. მან საბოლოოდ უნდა მოსპოს იდეა „ნებითა ღვთისათა“ ქვეყნის მართვისა, ამ თვალთმაქცურ დებულებას უნდა დაუპირდაპიროს დებულება: „ნებითა ხალხისაო“. ახალი წყობილება, რომელიც დამფუძნებელმა კრებამ უნდა შექმნას, უნდა იქნას ხალხის ძლევამოსილების გამომხატველი. მაშ მიაშურეთ საარჩევნო უთებს: არც ერთი ხმა არ უნდა დაიკარგოს!

გაუმარჯოს ხალხის უზენაესობას.

გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას!

ვინ უნდა გირჩიოთ:

1) **კადეტები?** ჩვენ არ მივმართავთ სხვილ მეშაბულებს, ძველი წოდების დამცველ თავადებს, მაძღარ სამღვდელოებას, ცხვილ ბურჟუაზიას. ეს ქვეინი ნიადაგია და ჩვენი პარტიის თესლი იქ ვერ იხეირებს. ჩვენ მივმართავთ მუშებს, გლეხებს და საზოგადოთ წვრილ ხალხს. თქვენთან მაშვრალნი და ტვირთმძიმენი, თქვენთან არის მომართული ჩვენი მოწოდება.

მაგრამ თქვენსკენ ბევრნი იშვერენ ხელს. ასეთებია უწინარეს ყოვლისა, ეგრეთ წოდებული კადეტები. ესენი თავის თავს „ხალხის თავისუფლების“ პარტიას უწოდებენ.

როგორია მათი თავისუფლება? მათ სურთ ქვეყნის სათავეში იდგეს მეფე, მხოლოდ არა თვითმპყრობელი, არამედ ცოტა შებღუდული. ასეთი წყობილება მდიდრებისთვის საუკეთესოა, ეს მათი თავისუფლება იქნება მდიდრების თავისუფლება. მაშ რათ არჩევენ თავის თავს ხალხის თავისუფლების პარტიას?

ერთიმ თვალთმაქცი ხალხია. კერძო ცხოვრებაში ამისთანა ხალხს უნამუსოს ეძახიან.

მართლაც რა სინდისია ამორჩეულების წინაშე ტყუილებით გამოსვლა. მართში, როცა საერთო მოძრაობამ ისინიც გაიტაცა, გამოაცხადეს: ჩვენ რესპუბლიკის მომხრენი ვართო და **ხალხის თავისუფლებას** ვიცავთო! იქნებ იმისთვის იბრძოლებენ, რომ გლეხებს მიწები მიეცეს? არა. მიწების მიცემის თანახმანი არიან, მხოლოდ **ხაზინამ უნდა გამოიყიდოსო.**

ეს ვერბატონები დღეს აშკარა. მომხრენი არიან ისტორიის ჩაბნელ უკუღმა დაბრუნებისა.

თქვენ უნდა მოითხოვოთ **რესპუბლიკა**, ე. ი. მთელი ძალა-უფლების ხალხის ხელში გადასვლა, **მახვილ მემამულეების და ეკლესია-მონასტრების მიწების ხალხის ხელში უფასოთ, გამოუსყიდავათ გადაცემა.**

ამიტომ ვისაც მიწა არ ეშვებება თქვენთვის, მათ ერთს ხმასაც ვერ მისცემთ. ასეთია კადეტები, რომელნიც გამოდიან სიით № 2.

არც ერთი ხმა ამ პარტიას! არც ერთი ხმა კადეტებს სიას № 2!

ვინ უნდა გირჩიოთ:

2) **სოციალისტ რევოლიუციონერები?** მეფობის დაუძინებელი მტრები ესენიც არიან. ამათ ხალხის მართველობა უნდათ; ესენი რესპუბლიკელები არიან.

მათაც სურთ მემამულეებს მიწები გამოუყიდველათ, უფასოთ ჩამოართვან.

მაგრამ აქ იბადება კითხვა: ვის უნდა ჩამოართვან? წაიკითხეთ მათი პროგრამა და ამ პროგრამის დასაბუთება. ისინი ეუბნებიან: ქალაქში ზოგი მდიდარია, ზოგი დარიბი, ერთი სიტყვით უთანასწორობაო. მაგრამ ეს ასე დარჩეს, სანამ სოციალისტური რევოლიუცია მოხდებოდესო. სოფელი მაინც დავიხსნათო, გაიძახიან. რითი ფიქრობენ სოფლის ხსნას? **ყველას ჩამოვართვათ მიწა, წვრილ მესაკუთრეებაც, და ხოფლის ხაზინა გადოებას გადავხცეთო,** მაშინ ყველა თანასწორი იქნება, თხა და მგელი ერთათ იძოვებსო. მერე თქვენ გვითხით, რომ სამუშაო იარაღებიც და ფულიც თანასწორათ ეკნება ყველას იმ სოფელში, რომლის შეკნას სოციალისტ-რევოლიუციონერები ფიქრობენ? თქვენც არ მოიკვდეთ! მაშ როგორ შეგიძლიათ თქვენს ერთ ხაჭერ მიწაზე ხელი აიღოთ და სოფლის საზოგადოებას გადასცეთ! არასოდეს! ეი ასეთ უთავბოლო პროგრამის ხალხი გეპატრონებიან ხმა მოგვეციოთო. ამათი სია № 3 იყ. არც ერთი ხმა სოციალისტ-რევოლიუციონერების პარტიას! ზურგი შეაქციეთ ძაბს სიას № 3-ს.

3) ბალშევიკები ხომ არ უნდა გირჩიოთ?

ესენიც სოციალ დემოკრატებს უწოდებენ თავს თავს.

ხარკისტებად მოიქცეთ თავი. მაგრამ დღეს მათ მარქსიტობის არა სცხიათ რა.

მეფის მთავრობა მათაც პირიქით ეჯავრებათ, მის მოსაპობათ ჩვენთან ერთად იბრძოლენ.

მაგრამ როცა დღეს ძალა-უფლება ხელთ აგდეს, ხალხის ფერთო მასას ზურგი აქცევს. მათ ისარგებლეს მრავალ-ტანჯულ ჯარის დაღლილობით და შემთხვევითი სულიერის განწყობილებით მოქალაქის დათრგუნვას შეუდგენ. რასაკვირველია, ხალხის კარგი სურთ. მაგრამ ხალხს არ ეკითხებიან: „ყველაფერი ხალხისთვის, ხოლო ხალხის დაუკითხავად“—ეი ამ ძალთ მაცხონებია პირველი მცნება. ამიტომ მათს კეთილს სურვილებს მხოლოდ ცუდი შედეგი მოყვა, მაიელს რუსეთში სამოქალაქო ომი გაჩაღდა და დღეს საეშვოა შესძლებს თუ არა რუსეთი ამ საბედისწერო მდგომარეობიდან თავის დახწევას.

ბალშევიკები—ეს ჯგუფურათ მოაზროვნე ხალხია. მიეცით მათ დამფუძნებელ კრებაზე უმრავლესობა და თქვენ მოწამენი გახდებით მოულოდნელის, უდიოვო ექსპერიმენტების. ეს რევოლიუციის დასამარება იქნება, რასაკვირველია ბალშევიკების სურვილების წინააღმდეგ.

მაშ ერიდეთ ამ უგუნურ მეგობრებს! არც ერთი ხმა ბალშევიკებს, თუ არ გსურთ სამოქალაქო ომი და რევოლიუციის დასამარება **ხმახ ნუ მისცემთ ხიახ № 5.**

4) ეხლობით თუ არა ჩვენებურს ნაციონალ-დემოკრატებს და სოციალისტ-ფედერალისტებს ან სომხის დაშნაკცუტუნს და თათარ ნაციონალისტურ პარტიებს?

ნაციონალ-დემოკრატები—ეს იგივე კადეტებია ქართულ ნიადაგზე.

სოციალისტ ფედერალისტები და დაშნაკცუტუნი ერთი ჯურის პარტიებია, მხოლოდ სხვადასხვა ეროვნების. ესენი საერთოთ ერთა შორის შურის მთესველი პარტიებია, მათი მოქმედება მხოლოდ შურსა და მტრობას იწვევს ერთა შორის.

კერძოთ, ჩვენი ფედერალისტები ინტელიგენტების ჯგუფიდან შესდგება. ესენ უჯარო გენერლებია. მათს ხმას მიეცემს ქართველი დედელი, ქართველი მოხელე და უმთავრესათ ქართველი მცონარე ინტელიგენტი. ხალხთან ის დაშორებულია და ხალხიც არ სცნობს მათ?

ცხადია, თქვენ ვერ მისცემთ თქვენს ხმებს ამ პარტიებს.

5) **ხმა მიეცით ხიას № 1!**

ამ სიით გაერთის რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია მენშევიკებისა. ის მუდამ თქვენთან იყო და დღესაც თქვენთან არის, ის მოითხოვს **რესპუბლიკას.** ხალხის მმართველობას. ამ ბრძოლაში ის ერთად მიდის სოციალისტ-რევოლიუციონერებსა და ბალშევიკებთან. მაგრამ ამის შემდეგ ის მათ შორდება.

მას ვერ წარმოუდგენია, თუ რათ უნდა ჩამოერთვას მიწა გლეხთვე წვრილ მესაკუთრესაც. ჩვენ მოვითხოვთ, რომ მიწები ჩამოერთვას მხოლოდ მემამულეებს, ეკლესიებს, მონასტრებს და სხვ. ჩვენ მოვითხოვთ გლეხთვე მთელი ხალხის, დემოკრატიის შეკრებას. არც ერთი უდროვო ნაბიჯი არ უნდა იქნას გადადგმული, რომ რევოლიუცია არ დაღუპოს. ამ თვალსაზრისით ვუცქერით ჩვენ როგორც ზავის საკითხს, ისე ეროვნულს. ამ კითხვების გადაჭრა ჩვენ დამფუძნებელ კრებას მივანდეთ. დამფუძნებელ კრებაზე კი მედგრათ მოვითხოვთ ზავს უანექსიოს და უკონტრიბუციოს და ყველა ეროვნების ეროვნულ საქმეების თავისუფლად მოწყობის უფლებას.

ვისაც სურს ნამდვილი, დემოკრატიული წყობილება, ხალხის თავისუფლება, მიწა გლეხებისთვის, ზავი მთელი ქვეყნისთვის და სამოქალაქო ომის თავიდან აშორება—ის გვერდს ვერ აუვლის სოციალ-დემოკრატ მენშევიკების სიას № 1.

ხმა მიეცით ხიას № 1!

არც ერთი ხმა სხვა პარტიებს!

სია № 1

დღეს—12 ნოემბერს—დამფუძნებელ კრების არჩევნები წყება. ქალაქებში არჩევნები სამი დღე გრძელდება, ხოლო სოფლებში ერთი კვირა.

ამხანაგებო და მოქალაქენო, მუშებო და სოფლის გლეხებო, დარიბნო და ტვირთმაშვრალნო, ქალებო და კაცებო! რუსეთის დიდი რევოლიუცია დღეს თქვენგან ახალი ძალების მობილიზაციას მოითხოვს; დღეს თქვენ უკანასკნელი ძალა უნდა მოიკრიბოთ და სწორი მოქალაქეობრივი შეგნებით საარჩევნო ყუთის წინაშე წარდგეთ.

დიდია ეს დღე თქვენის, დიდია ამ დღის მნიშვნელობა. ჩვენ დიდი ხანი ველოდით ამ სანეტარო დღეს, ბევრი ეკლიანი გზა განვლეთ, მრავალი მსხვერპლი შეიწირა, მრავალი სისხლი დაიღვარა და ეი პროლეტარიატი და სოფლის გადატკეპნული გლეხკაცობა მოეწვრთა ამ არა-ჩვეულებრივ დღის. დამფუძნებელი კრების არჩევნებს და თქვენც დღეს უნდა ჩაუყაროთ ხალხის მართველობას მტკიცე საფუძველი.

დამფუძნებელი კრება ხალხის უდრესი სურვილებისა და ვნებს გამომხატველია და აქ ჩაეყრება მომავალ დემოკრატიულ რესპუბლიკას საძირკველი.

მაგრამ ვინ გაიმარჯვებს დამფუძნებელ კრების არჩევნებში, ვინ მოიკრეფა დამფუძნებელ კრებაში და ვისი წარმომადგენლები იქნებიან იქ. დღეს საარჩევნო ბრძოლის ასპარეზზე სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები, სხვადასხვა კლასების წარმომადგენლები და თითეული მათგანი ამარჩევებთ თავისი სიისაკენ მოუწოდებენ, ყველა იმათგანი ხალხს თავისუფლებას პირდებიან. საარჩევნო ბრძოლის კამპანიის 16 პარტია აწარმოებს და თითეულ მათგანს ხალხის ინტერესების დამცველად მოაქვს თავი.

მაგრამ ამიერ კავკასიის მუშათა კლასი და გლეხკაცობა მოეწრო ამ არა-ჩვეულებრივ დღის. დამფუძნებელი კრების არჩევნებს და თქვენც დღეს უნდა ჩაუყაროთ ხალხის მართველობას მტკიცე საფუძველი.

დამფუძნებელი კრება ხალხის უდრესი სურვილებისა და ვნებს გამომხატველია და აქ ჩაეყრება მომავალ დემოკრატიულ რესპუბლიკას საძირკველი.

მაგრამ ვინ გაიმარჯვებს დამფუძნებელ კრების არჩევნებში, ვინ მოიკრეფა დამფუძნებელ კრებაში და ვისი წარმომადგენლები იქნებიან იქ. დღეს საარჩევნო ბრძოლის ასპარეზზე სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები, სხვადასხვა კლასების წარმომადგენლები და თითეული მათგანი ამარჩევებთ თავისი სიისაკენ მოუწოდებენ, ყველა იმათგანი ხალხს თავისუფლებას პირდებიან. საარჩევნო ბრძოლის კამპანიის 16 პარტია აწარმოებს და თითეულ მათგანს ხალხის ინტერესების დამცველად მოაქვს თავი.

მაგრამ ამიერ კავკასიის მუშათა კლასი და გლეხკაცობა მოეწრო ამ არა-ჩვეულებრივ დღის. დამფუძნებელი კრების არჩევნებს და თქვენც დღეს უნდა ჩაუყაროთ ხალხის მართველობას მტკიცე საფუძველი.

დამფუძნებელი კრება ხალხის უდრესი სურვილებისა და ვნებს გამომხატველია და აქ ჩაეყრება მომავალ დემოკრატიულ რესპუბლიკას საძირკველი.

მაგრამ ვინ გაიმარჯვებს დამფუძნებელ კრების არჩევნებში, ვინ მოიკრეფა დამფუძნებელ კრებაში და ვისი წარმომადგენლები იქნებიან იქ. დღეს საარჩევნო ბრძოლის ასპარეზზე სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები, სხვადასხვა კლასების წარმომადგენლები და თითეული მათგანი ამარჩევებთ თავისი სიისაკენ მოუწოდებენ, ყველა იმათგანი ხალხს თავისუფლებას პირდებიან. საარჩევნო ბრძოლის კამპანიის 16 პარტია აწარმოებს და თითეულ მათგანს ხალხის ინტერესების დამცველად მოაქვს თავი.

მაგრამ ამიერ კავკასიის მუშათა კლასი და გლეხკაცობა გაწვრთნილია კლასობრივ ბრძოლაში, აღზრდილია პოლიტიკურად და კარგათ ერკვევა, თუ ვინ არის მისი მტერი და ან მოყვარე.

სია № 1 პირველის კანდიდატებმა მთელი ამიერ კავკასიისა და მთელი რუსეთის პროლეტარიატის გადატკეპნულ გლეხკაცობაში დიდი ხანია თავდადებულ მებრძოლთა სახელი დაიმსახურეს. სია № პირველს ამშვენებენ ასეთი კანდიდატები, როგორიც არიან ნ. ჟორდანია, კაკა წერეთელი, კარლო ჩხეიძე, ევ. გეგეჭკორი, არ. ზურაბოვი, ჩხენკელი, სკობელევი, ისიდორე და ნოე რამიშვილები, ალექსანდრე ლომთათიძე, მახარაძე და სხვები. ამითი სწორუპოვარი მოდგეწეობა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ისტორიაში თქრის ასოებით არის დაწინაშნული და მათ თავდადებული ბრძოლის მომწერი მთელი ამიერ-კავკასიისა და რუსეთის პროლეტარიატია.

მართალია მათ უანგარო და თავგანწირულ ბრძოლაში ეცვი შეეკვთ ჩვენებურ ეგრეთ წოდებულ უპასიხისმგებლო ანარქო-ბალანკისტურ ბალშევიკურ პარტიას, მაგრამ მათი მუქარული, ტვინ ნაღრძობი გზობა სია № 1 კანდიდატებს სახელს ვერ გაუტეხს და ამიერ კავკასიის პროლეტარიატს და გლეხკაცობას მათზე ისტორიულათ შეწუნაგებულ აზრს ვერ შეუცვლიან.

იმიერ კავკასიის მუშათა კლასი და ყველა ტვირთ მაშვრალი, ყველა ეროვნების დემოკრატია კარგათ იცნობს, თუ ვინ არიან სია № 1 კანდიდატები. მათ საქმიანობას და პროლეტ. ინტერესებისადმი ბრძოლის დაღდებას მთელი ოცი წლის ისტორია აქვს, იგი მათი პოლიტიკური მოდგეწეობის უტყუარი ფაქტებია. გიოტემ სთქვა: პირველათ იყო ფაქტი და ამიერ კავკას ის დემოკრატიამდე გაიხსენოს ჩვენი კანდიდატების წარსული და აწმყო მოდგეწეობის ფაქტები. სია № 1-ის თითეული კანდიდატი პროლეტარიატის და გლეხკაცობის სწორ-უპოვარი მომხრენი არიან და მათი ინტერესების დაცვას შეალიეს მთელი თავისი ძალ-ღონე.

მაშ, ამხანაგებო და მოქალაქენო! მხარი დაუჭირეთ სია № 1, ესენი დაამყარებენ რუსეთში დემოკრატიულ რესპუბლიკას, ესენი მისცემენ გლეხკაცობას მიწას, ესენი ჩამოაგდებენ დაუყოვნებლივ დემოკრატიულ ზავს და მათ ხალხის მართველობას მკვიდრ ნიადაგს ჩაუყრიან. მაშ ხმა მიეცით სია № 1 და არც ერთი ხმა სხვა პარტიებს.

სოციალისტ-რევოლიუციონერები და დაშნაკცუტიუნი

ამიერ კავკასიის საარჩევნო ოლქის დამფუძნებელი კრების არჩევნებში ეს ორი „მონათესავე“ პარტია ცალ-ცალკე გამოდის.

სოციალისტ-რევოლიუციონერები მე-3 ნომერ სიით.

დაშნაკცუტიუნი მე-4 ნომრით.

ორივე ეს პარტია მშრომელ ხალხს—მუშებს და გლეხებს მოწოდებით მიმართავენ, რომ ეს პარტიები გაითქრონ, მათ გამოუცხადონ ნდობა, მათ ჩაბარონ თავისი სეებედი.

სოციალისტ რევოლიუციონერები ამბობენ: ჩვენ ვართ მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველნი განურჩევლად სარწმუნოებისა, ეროვნებისა და სხ. ერთი სიტყვით,—ინტერნაციონალისტები ვართო.

დაშნაკცუტიუნი ამბობს: ჩვენც სოციალისტური პარტია ვართ,—რუსი სოციალისტ რევოლიუციონერების „მონათესავე“, ვიცავთ უპირველესად სომეხ მშრომელი ხალხის ინტერესებს, მაგრამ ამასთანავე, ყველა ქვეყნის მშრომელთა ინტერესებსაც, ვინაიდან სოციალისტური საერთაშორისო ბიუროში ჩვენი წარმომადგენელი გვყავსო.

ნაციონალისტური დაშნაკცუტიუნიც ამბობს ინტერ ნაციონალისტური პარტია ვარო.

რა სახითაც არ უნდა გამოვიდენ საარჩევნო ბრძოლის ველზე ეს ორი მონათესავე პარტია, მათი ისრები ბრძოლაში მომართულია სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ.

ბრძოლაში მეთაურის როლი ჩვენს წინააღმდეგ დაშნაკცუტიუნს ეკუთვნის.

დაშნაკცუტიუნი ვერ ურიგდება იმ აზრს, რომ სოციალ-დემოკრატიის, ამ ინტერნაციონალურ პარტიისაკენ მიიწევს სომხის დარიბ-დატაკთა კლასი.

ეს ხელსაყრელი არ არის დაშნაკცუტიუნისთვის, ამას ვერ ურიგდება მისი ნაციონალისტური სინდისი.

და აქ ჩაღდება სამკვდრო-სასიცოცხლო ომი. დაშნაკცუტიუნის არსებობიდან ბრძოლის შესაფერი იარაღიც გამოდის ამ დროს.

სოციალ-დემოკრატია ქართული ნაციონალისტური პარტიაო, ესაა დაშნაკელთა ბარბაბანი ჩვენს წინააღმდეგ მომართული.

სოციალ-დემოკრატია შოვინისტური პარტიაა, ესაა ამ ბარბაბნის ყუმბარა.

ამ პარტიის მიზანია ქართველ და სომეხ მშრომელთა შორის უთანხმოება-გათიშვა შეიტანოს. ნაციონალისტური ბრძოლის გაჩაღება იმ მშრომელთა შორის, რომლებსაც დაშნაკცუტიუნის გაჩენამდე თანხმობით, კეთილ მეზობლურათ უცხოვრიათ! ეი რას ესწრაფვის ის.

რას აკეთებს ამ ბრძოლაში სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია? ის ხშირად დაშნაკცუტიუნის ხელში ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლის უბრალო იარაღია.

სხვაფრივ არც შეიძლება იყოს. სამართლიანი აზრი შეუშავდა ადგილობრივ სოციალისტ-რევოლიუციონერებზე. ეს გამგელთა პარტიაა ამიერ-კავკასიაშიო, ამბობენ, და ეს სრული სიმართლეა.

აბა, რა იცის გამგელმა პარტიამ დაშნაკცუტიუნის გუშინდელი მოღალეწეობის!

დღეს ხომ ლამაზ სიტყვებს ამბობს დაშნაკცუტიუნი! მოარჩა და გათავდა!

წარსული კი, დაშნაკცუტიუნის ვერ არის სახიერო ისე, როგორც აწმყო-მომავალი მისი.

1905 წლის დეკემბერში რედაქციის გამბატონებისას შემდეგი ამბავი ეშუმყა.

„ყველა მოქალაქეს“.

„დაშნაკცუტიუნის“ პარტიის თფილისის ცენტრალური კომიტეტი 26 დეკემბერს გავიდა „შეთ ნხვებაზ ბიუროდან“, რის გამო შეთანხმების ბიუროს მიიღო შემდეგი რეზოლუცია“:

მივიღეთ რა მხედველობაში 1) რომ მთელი რუსეთი მოცულია რევოლიუციონური მოძრაობით, რაც ბევრ ადგილას შეიარაღებულ აჯანყებათ გადიქცა, 2) რომ კერძოთ ჩვენში, თფილისში, ხულგანთა ბრძოს ჩაიგდო ხელში მთავრობა და ქალაქი აიღო და გაძარცვა ხოლო მშვიდი მცხოვრებნი ასობით ამოაწყვეტია კაზაკებსა და ხულგანებს, 3) რომ კონტრ-რევოლიუციის ჩასაჩრობათ დაარსებულ იქნა რევოლიუციონურ პარტიათა ბიურო შეთანხმებისა, რომლის წე დება მიღებულ იქნა „დაშნაკციუტიუნის“ პარტიის თფილისის ცენტრალური კომიტეტის მიერ;

„დაშნაკცუტიუნის“ პარტიის თფილისის ცენტრალური კომიტეტის გამოსვლას **შეთანხმების** ბიუროდან რევოლიუციონური მოძრაობის ასეთ კრიტიკულ მომენტში **ბიუროს შეთანხმებისა** თვლის რევოლიუციონური ბრძოლის ველის მიტოვებათ, ხოლო მის მიერ წამოყენებულ მოტივებს კი ყოველდ უსაბუთოდ. (ხელს აწერენ)

გაფიცვის ბიურო თფ თრგ. რ.ს.-დ. მ. პ. თფილისის კომიტეტი პარტიისა „ინჩაკ“. თფ. კომიტ. ხოც.-რევოლიუციონერებისა. თფილისის კომიტეტი ქართულ პარტიის სოციალისტა-ფედერალისტებისა“.

27 დეკემბერი 1905 წ.

გამგელელ სოციალისტ რევოლიუციონერებს ეს ამბავი დავიწყნიათ და ეხლა „მონათესავეთ“ თვლიან დაშნაკცუთიუნს. და თუ არ დავიწყნიათ, მით უარესი!

„რევოლიუციონური ბრძოლის კრიტიკული მომენტი“ ბევრჯერ გაუჩნდება ჩვენ მიერ არჩეულ დეპუტატებს და ყოველთვის თუ მათ ბრძოლის ველი მიატოვეს, როგორც ეს დაშნაკცუთიუნმა 1905 წლ ინება, ეს იქნება ჩვენი ინტერესების დაცვა?!

ამიტომ, მოქალაქენო! არც ერთი ხმა ბრძოლის ველის მიმტოვებელის—დაშნაკცუთიუნის სიას № 4.

არც ერთი ხმა მის „მონათესავე“—სოციალისტ-რევოლიუციონერების სიას № 3.

ხმა მიეცით იმ პარტიის სიას, რომელიც კრიტიკულ მომენტში ბრძოლის ველზე იდგა, რომელიც, როგორც ლხინში, ისე ჭირში, მშრომელთა ბანაკში იყო—ხმა მიეცით სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ხიახ № 1-ზე.

ჩვენ ქალებს!

კერძო ლაპარაკში, თუ საზოგადოებაში თქვენ მუდამ პირზე გაკერიათ ქალთა უფლებრივი თანასწორობა, თქვენ მუდამ იმას გაძახით მამაკაცებმა დაგვჩაგრეს, მამაკაცები ხელს გვიშლიან, თორემ ჩვენ მათზე ნაკლებ არ შეგვძლია საზოგადო ასპარეზზე მოღვაწეობა, საზოგადო სამსახურიო. თუ ეს თქვენი სიტყვები გულწრფელი სიტყვებია, თუ მართლა თქვენ გსურთ საზოგადო ფერხულში ჩაება, თუ თქვენ გსურთ მამაკაცებივით საზოგადო საქმე აკეთოთ, თუ თქვენი გოდება ქალთა უფლებრივ გათანასწორების შესახებ მართლა ლამაზი სიტყვები არ არის და მას სერიოზული შინაარსი აქვს, ეი დადგა კიდეც

დრო, როცა თქვენ შეგიძლიათ მამაკაცებთან ერთად გამოხვიდეთ საზოგადო ასპარეზზე და შეასრულოთ თქვენი მოქალაქობრივი ვალი. ქალებო! თუ თქვენ გაინტერესებდათ ჩვენი საზოგადო ცხოვრება, თუ აკვირდებოდით ჩვენ ცხოვრებას გეცოდინებათ რა მდგომარეობა იყო დღემდე მთელ რუსეთში. მთელი საუკუნოების განმავლობაში რუსეთის თვითმპყრობელობა ფეხქვეშ სთელავდა ყოველივე მოქალაქობრივ უფლებას. მას რკინის მუხრუჭებში ეჭირა ხალხის თვითმოქმედება, ინიციატივა, ჩვენ ყველა უბრალო მონები ვიყავით. ყოველივე თავისუფალ აზრს, ყოველივე თავისუფალი სიტყვას მეფის მთავრობა სდევნიდა და აკვანშივე ჰკლავდა. მთელი რუსეთი უკუნეთ სიბნელეში იხრჩობოდა. ამ შავბნელ დროში მამაკაცებზე უფრო დაჩაგრული და დამონებული თქვენ იყავით, ქალებო, თქვენ ისე გიყურებდენ, როგორც უბრალო რაიმე ლამაზ საგანს, არც თქვენ სიტყვას, არც თქვენ აზრს არავითარი გაბედნიერება არ ჰქონდა, თქვენ იმის ნებაც კი არ გქონდათ, რომ უბრალო მოხელეს ადგილი დაგეჭერათ რაიმე დაწესებულებაში, თუმცა მამაკაცებზე ხაკლებ არ შეგეძლოთ შეგესრულებინათ საქმე. რუსეთის დიდებულმა რევოლიუციამ ერთის დაკვრით თავი მოჰკვეთა იმ ჯაჭვებს, რომელიც ყველას გვახრჩობდა, თავი მოჰკვეთა რუსეთის თვითმპყრობელობას და ჩვენ წინ ფართო სამოქმედო ასპარეზი გადაშალა. დიდებულმა რევოლუციამ თქვენ უფლებრივ გათანასწორებისკენაც გადადგა ერთი დიდი ნაბიჯი, თქვენ მოგვეცათ არჩევნების უფლება მამაკაცებთან ერთად. გეხსომებათ, რომ წინათ სოფლის გზირის არჩევის ნებაც კი არ გქონდათ თქვენ, სადაც კი არჩევნები იყო საჭირო მარტო მამაკაცები დებულობდენ მონაწილეობას, თითქო თქვენ სრულიად არ შეგეხებოდათ საზოგადო საქმე, თქვენ უტყვი მონები იყავით. დღეს თქვენ მინაწილეობას იღებთ მთელი რუსეთის სახელმწიფოებრივ საქმის მოწყობაში, დღეს თქვენ აზრს, თქვენ სიტყვას ანგარიშს უწევენ. დღეს თქვენ მონაწილეობა უნდა მიიღოთ დამფუძნებელ კრების არჩევნებში, იმ დამფუძნებელ კრების, რომლის შემადგენლობაზეა დამოკიდებული, როგორც საზოგადოთ რუსეთის მთელი ცხოვრების, ყველა მოქალაქის, კერძოთ თქვენი ბედი დღეიდან. თუ იქ ისეთი ხალხი გავიდა, რომელსაც ღრმათ ხალხის ინტერესები ფიხებზე ჰკიდია, ეცვს გარეშეთქვენი უფლებების შესახებ არავინ კრინტს არ დასძრავს. თქვენ ისევ იმ მონურ მდგომარეობაში დარჩებით, როგორც აქამდე. თუ ოდნავ მაინც თვალყურს ადევნებდით ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებას, გიგებდით ვინ იბრძოდა თავგადადებული რუსეთის ჯოჯოხეთურ წეს წყობილების დასანგრევათ, ვინ იცხებოდა სისხლიდან, ვინ არ ერიდებოდა არავითარ მსხვერპლს, რომ ბოლოს მაინც მიეღწია თავის მიზნისთვის და მოეპოვებინა ხალხისთვის თავისუფლება. ეს გმირი იყო სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, ის პარტია რომლის დროშაზე სისხლის ასოებით აწერია: „ძმობა, ერთობა და თავისუფლება“, რომელიც მუდამ იცავდა და იცავს მშრომელი ხალხის ინტერესებს, რომელიც მუდამ იცავდა და იცავს სქესობრივ თანასწორობის უფლებას. და ეი მან მიაღწია კიდეც მიზანს, დაამხო რუსეთის თვითმპყრობელობა. ქალებო! თუ თქვენ გინდათ მართლა მოიპოვოთ მოქალაქობრივი უფლებები თანასწორ მამაკაცებთან, თუ თქვენი მუდმივი საყვედურები თქვენი დაჩაგრისა და მონურ მდგომარეობის შესახებ მართლა ლითონი სიტყვები არ არის, მაშ დადგა თქვენი დროც, ხმა მიეცით სოციალ დემოკრატიულ მუშათა პარტიის მენშევიკთა სიას № 1, ამ სიით არჩეული წარმომადგენელნი დაიცავენ როგორც მთელი მშრომელი ხალხის ისე თქვენს ინტერესებს.

პრესა

ჩვენი ბალშევიკები თანდათან უფრო ღრმათ ჩაეძიებიან დემოკრატიის მორევში, ოღონდ ვისმეს თავი მოეწონონ, თუნდაც სულ მოკლე დროით და სხვის არას დაიდევენ: არც ლოღიკა, არც სირცხვილის გრძნობა მათ ვერ შეაწუხებს. ლანძღვას ნუდა იკითხავთ: ასე გეგონებათ თავისი დღენი აგლახრის ერთ წუთში გაუტარეინათო.

რითი დავიმახსოვრით ასეთი ლანძღვა გინება (იხ. „ბრძოლა“ № 31, წერილი „რუსეთიდან ჩამოშორება“).

ჩვენ არ დაუმალეთ მკითხველებს, რომ ჭეშმარიტად განსაცდელშია. მაშ რა არის თუ არ განსაცდელი, როცა ძმა ძმის სისხლსა ღვრის, როცა სურსათი ელევა როგორც ჯარს, ისე მშვიდობიან მოქალაქეს, როცა არასებულ ლენინის „მთავრობას“ ხალხის უმრავლესობა არა სცნობს?

ამა სცადონ ამ უპასუხისმგებლო დემაგოგებმა და სიმუთებით დაგვმტკიცონ წინააღმდეგ! ისინი ამპარტავნულათ გამოუმეძლნენ და გვეუბნებიან: „ქვეყნ, მენშევიკები მშვიდრები ხართ“-ო. ამაზათ თითონ მეტის-მეტი გამმედრობით მოიქცნ თავი.

საბრალო დემაგოგებო! სწორეთ ამქვეყნის მუშათა კლასის დიდებულმა ბელადმა: „იარაღი კარგი რამ არის მეგობრებო, მაგრამ თავშიც უნდა გედოთ რამეო!“ და რაკი რამდენიმე ქ ლაქ ხელში ჩაიგდეს, გონიათ, რომ ყველაფერი მოწყობილია! პეტროგრადის გაზეთები რომ წაეკითხათ ჩვენებური უშიშარ რაინდებს, იმას მაინც გაიგებდენ, რომ როცა პეტროგრადის ბალშევიკები ცხოვრების წინაშე პირის პირ წარუდგენ, ერთიანად დასტოვეს მთავარი საფუძველი თავისი პროგრამისა: მათ ხელი აიღ ს დღესვე სოციალიზმის განხორციელებაზე, ხავი კი არ ჩამოაგდეს, მხოლოდ მის წესახებ დეკრეტი გამოსცეს, სადაც ხელშეკრულების გამოქვეყნება რაა, ისიც კი არ გამოაქვეყნეს, თუმცა ცხადლივ და სიხმარშიაც სულ მუდამ მათ გამოქვეყნებას ითხოვდენ. ეს ცოტაა: ისინი „შეთანხმებას“ გვეძახდენ, ბურჟუაზიასთან კავშირს გვებრალებენ დღეს? დღის ჩვენ მოღალატეებთან ჯვთვლით, მაგრამ ჩვენთან კავშირს დროებით მთავრობის შესადგენათ შესაძლებლათ თვლიან, როგორ მოგწონთ ეს „მოღალატეებთან“ შეთანხმება!

დემაგოგიამ ისე გაიტაცა ჩვენი ბალშევიკები, რომ ჩვენი წერილის შინაარსი ვერც კი გაიგეს. ამიტომაა, რომ ერთის მხრით პურიშკევიჩისებურ მთლიან რუსეთის მომხრეთ გამოვყეყვათ, მეორე მხრით სრულს სეპარატისტებათ გვთვლიან!

როგორ მოხდა ეს—„ბრძოლის“ ალაპმა უწყის. ჩვენ არ გვახარებს რუსეთის დაშლა, რადგან ჩვენი დევიზია „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდითო!“ ამ ნიადაგზე ვიუშაობთ ჩვენ მუდამ და ასეთი შინაარსი ჩვენთვის უფრო ძვირფასია, ვიდემ დემაგოგების ატისტაცია. მაგრამ ჩვენ არც იმის მომხრე ვართ, რომ თუ რუსეთი დაიშალა, ჩვენ თავს არ ვუშველოთო, მით უმეტეს, რომ ეს საერთო საქმისთვისაც სასარგებლო იქნება.

„კოკასა შინა რაცა სდგას, იგივე წარმოადინდების“—დემაგოგებს სხვა რა დარჩენიათ, მაგრამ სამაცილო ის არის, რომ მარქსიზმის დამცველნი მარქსიტულ მეცნიერობითაც ყოყოჩობენ. „ეკონომიური ანარაქია, ხოლო პოლიტიკურათ ძლიერება—როგორ მოგწონთ ეკონომიკის და პოლიტიკის ასეთი ურთიერთობა, მათი ასეთი დაპირდაპირება მარქსიტის მხრით“—გვეკითხებიან.

როგორ მოგწონს, მკითხველო, სხვის მიერ დაწერილის ასე უტიპრათ დამახინჯება?

ჩვენ ვწერდით: „დღეს ჩვენ იმდენათ მოლიანიერებული ვართ, რომ პოლიტიკურათ კიდევ შეგვიძლია საკუთარ ფეხზე დადგომა“-თქო. შევდარეთ ეს „იმდენათ“ „კიდევ შეგვიძლია“ ბრძოლის კალმოსნის მიერ მოყვანილს „პოლიტიკური ძლიერება“ და დარწმუნდებით რაგვარის ზნეობის ხალხთან გვაქვს საქმე!

* * *

ბალშევიკები არ ისვენებენ. კრილოვის ერთი გმირი თავმოწონებით ამბობს ავთომყოფლობაზე: ერთი წიხლი მეც ვუთავაზეო.

როგორ დაემსგავსენ ჩვენებური ბალშევიკები კრილოვის ამ პატიოსან გმირს!

ვინ არ იცის, რომ რუსეთის პროლეტარიატი დღეს დაჭძლურების ხანას განიცდის. ის აყვა უპასუხისმგებლო ავანტიურისტებს, მისი ძალები დაიქაჩა. ძმა ძმას არ ინდობს. სამოქალაქო ომი გაჩ ღდა თავისი საშინელებით. პიროვნების და ბეშქვითი სიტყვის თავისუფლება მეტ ბარგათ იქნა გამოცხადებული.

ეი ამ დროს ჩვენი ბალშევიკები სიხარულის გრძნობას გაუტაცნია და წიხლავენ გამოჩენილ მებრძოლთ ნოე ჟორდანიას, წერეთელს, ჩხეიძეს და ს ხვებს.

ამიერიდან მოძრაობის სათავეში, ალბათ, თითონ ფიქრობენ ჩადგომას. ამაზე უთქვამთ: „ბედაურები დაიხოცნენო“...

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲒᲔᲒᲘ

დამფუძნებელი კრების არჩევნები მთელს ამიერ-კავკასიის საარჩევნო ოლქში დაიწყება დღეს, 12 ნოემბერს. თფილისში არჩევნები წარმოებს 12 და 13 ნოემბერს დილის 9 საათიდან საღ მოს 9 საათამდე, 14 ნოემბერს კი—დილის 9 ს. ნაშუადღევის 2 საათამდე. ასე რომ, თფილისში არჩევნები იწარმოებს სამ დღეს. ამიერ კავკასიის დანარჩენ ადგილებში არჩევნები დაიწყება ასევითვე 12 ნოემბერს და გათავდება 18 ნოემბერს. ვისაც სახელობითი მოწმობა სახლში არ მიეღო, მას შეუძლია ასეთი მოწმობის მიღება თვით საარჩევნო დარბაზში. ვინც საარჩევნო სიაში ხართ შეტანილნი, მიიშვრით საარჩევნო უბანს—სულ ერთია, სახელობითი ბარათი მიღებული გაქვთ თუ არა. გახსოვდეთ, რომ თფილისი დაყოფილია 44 საარჩევნო უბნათ. ხმა უნდა მისცეთ იმ საუბნო საარჩევნო უბანში, რომელ უბანშიაც ცხოვრობთ. აწერიგეთ და მოქალაქენო! იჩქარეთ გამოცხადდეთ საარჩევნო ყუთებთან! ყველა საარჩევნო უბანში იქნებიან ჩვენი პარტიული აწმხანაგები, რომლებიც ყოველგვარ ახსნა-განმარტებას მოგცემენ, დახმარებას აღმოგიჩენენ, რომ არც ერთი ხმა არ დეკარგოს ჩვენს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას. ხმა მიეცით სიას № 1!

თათბირი ამიერ კავკასიაში მმართველობის მოწყობის შესახებ. გუშინ თფილისში შესდგა აწხ. ევგენი გეგეჭკორის თავმჯდომარეობით რევოლიუციონურ ორგანიზაციებისა, სოციალისტურ პარტიებისა, ამიერ-კავკასიის ყველა ერთა წარმომადგენლების თათბირი. თათბირს დაესწრო აგრეთვე მოკავშირე ქ ნტრალურ სახელმწიფოთა ელჩები, კავკასიის ჯარის მთავარ სარდალი გენ. პრჟევალსკი, კავკასიის, სამხედრო ოლქის უფროსი გენ. მდივანი, თფ გარნიზონის უფროსი პოლკოვ. სტ. აბმეტელაშვილი და სხ. დარბაზში დაუშვეს მხოლოდ განსაზღვრული რიცხვი გარეშე პირებისა მარაგებით. თათბირს მოკლე სიტყვით მიმართა თავმჯდომარემ, რის შემდეგ ვრცელი მოხსენება გააკეთა კავკასიის ჯარის კომ სარმა გ. დონსკოი მ. მომხსენებელმა წარმოადგინა პროექტი, რომლის თანახმათ ამიერ-კავკასიის დროებითი მთავრობა უნდა შესდგეს დამფუძნებელ კრებაზე გასაგზავნ დეპუტატებისაგან. ილაპარაკა ფილიპე მახარაძემ. იგი წინააღმდეგია ადგილობრივი მართვა-გამგეობის დაარსებისა, ს.-რევოლიუციონერების სახელით ილაპარაკა ს. რ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წევრმა „დელო ნაროდა“-ს თანახმრობელმა ლენკევიჩმა. ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა აწხ. ნოე ჟორდანიამ. მის გამოსვლას ხანგრძლივი ტაშიცემითა და ოვაციებით შეხვდა თათბირი. ნოე ჟორდანიამ მის გამოსვლას ხანგრძლივი ტაშიცემითა და ოვაციებით შეხვდა თათბირი. ნოე ჟორდანიამ ს.-დ. სახელით კომიტეტის სახელით მხარი დაუჭირა პროექტს. თათბირის დავწვრილებით განხილვაში შემდეგ ნომერში დავუბრუნდეთ.

ეროვნულ ინტერვა. ხაბჭოს დადგენილების თანახმად არჩეულ იქნა კომისია. რომელსაცევალება 19 ნოემბრისათვის დ ნშეული ერთვნულ ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებულ ტეხნიკურ საქმეების მოგვარება და გაძღოლა. კომისიაში შედიან: შ. ქარუმიძე, პ. ქავთარ ძე, მ. გაგიშელი, დ. სულიაშვილი, მ. საყვარელიძე, ი. მაჭავარიანი და პ. ბარათაშვილი. კომისია უკვე შეუდგა თავის საქმეს. კომისიის მისამართი: საქ. ერთვნ. ნტ. საბჭოს ბინა—ფრეილინის ქუჩა, № 11, სადეპუტატო სკრებულოს სახლი.

ამიერ კავკასიის სამხედრო ოლქის კომისარიატთან 9 ნოემბერს შესდგა ქართული პედაგოგიური საბჭოს მორიგი კრება. კრებას დაესწრო 30-დე მასწავლებელი. დიდი კამათი გამოწვია სკოლებში გრამატიკის სწავლების საკითხმა. მოლაპარაკეთა ერთი ნაწილი იცავდა ამ საგნის სწავლების აუცილებლობას სკოლაში. ხოლო მეორე ნაწილი შეუძლებლად აღიარებდა ამ საგნის სკოლაში დატოვებას და მის სრულიად გამორიცხვას მოითხოვდა სასკოლო კურსიდან. კამათი არ დასრულდა. საკითხი კვლავ შემდეგისათვის გადადო. შემდეგ კრებაზე, რომელიც მოხდება კომისარიატის ბინაზე (ოქოეევის სახლი გოლოვ. პრასპ.) ხუთშაბათს, 16 ნოემბერს, სალამოს წაკითხული იქნება განსაკუთრებული მოხსენება ენის სწავლების შესახებ პროგიმნაზიულ კლასებში. მოხსენების შემდეგ გაგრძელდება კამათი. კრებაზე დასწრება შეუძლიანთ გარეშე დაინტერესებულ პირთაც.

კავკასიის სახოსწავლო ოლქის კომისარიატმა აღძრა შუამდგომლობა განათლების სამინისტროს წინაშე, რათა აუცილებელი ნება მიეცეს მასწავლებელთა ქალიშვილებსაც ისწ, როგორც ვაჟიშვილებს.

ქამაკოხთა კავშირი. საოლქო სამხედრო-სამრეწველო კომიტეტთან შესდგა კომისია, რომელსაც დაევალა ამიერ-კავკასიის ქიმიკოსთა კავშირის დაარსება და ამ კავშირის წესდების შემუშავება.

ხაგუბერნიო სახურჩათო კომიტეტმა დაადგინა მისცეს მომხმარებელთა საზოგადოებას „მოსავალს“ 25 ათასი მანეთი სესხი.

რადგანაც ხაარჩევნო ბიულეტენები, სხვადასხვა ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო ძალიან ცოტა დაიბეჭდა, რ. ს.-დ. მ. პ. თფილისის კომიტეტი აფრთხილებს ამხანაგებს დაზოგვით გაეწერებინონ იგი და კონვერტებში აც თითო ბიულეტენი ჩასდონ და არა თორი და სამი ცალი, როგორც ეს საქალაქო არჩევნების დროს ხდებოდა.

ხაარჩევნო ფონდი. მივიღეთ საარჩევნო ფონდის გასაძლიერებლათ დათიკო ნაცვლიშვილისაგან—5 მ., პეტრე ჩხიკვიშვილისაგან—8 მ. 50 კ., მ. ურუშაძისაგან—25 მ., იმპოლიტე ინწკირველისაგან—10 მ.

ხამგლოვიარო წერილები. ღრმათ დავგვმწუხრა ამხანაგ რაფიელ რამიშვილის უდროოთ დაკარგვამ. ი. შანიძე და ირინა შანიძისა.

„ეშმაკის მათრახი“ გამოვიდა განსაკუთრებულათ დამფუძნებელი კრების ნომერი. ჟურნალში მოთავსებულია თითქმის ყველა № 1 დეპუტატები, დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე და ღირს 50 კაპ.

ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲢᲘᲜᲔᲑᲔᲑᲘ.

დღეს, დილის 12 ს., პრესის ბიუროს ბანაზე დანიშნულია ჟურნალისტთა კავშირის წევრთა კრება.

— დღეს, დილის 10 ს., 1 უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწ ლებლის შენობაში დანიშნულია მშობელთა წოის კრება.

— ხვალ, სალამოს 7 ს., ბიუროს ბინაზე (პეტრე დიდის ქ. № 18) დანიშნულია დალაქ პარიკმახერთა კრება. დღის წესრიგი: 1) მიმდინარე მომენტი; 2) სარეციტაციო კომისიის მოხსენება; 3) გამგეთ ის წევრთა არჩევა.

ᲞᲔᲢᲠᲝᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲐᲛᲒᲔᲒᲘ

ნ. ჟორდანიამ ს. დევდარიანისაგან ხარკოვიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: ხარკოვში სიწყნარეა. პირველ დღიდანვე შესდგა კომიტეტი, რომელშიაც შევიდენ სიერთოთ ყველა დემოკრატიულ ორგანიზაციის წარმომადგენელნი და ქალაქის თვითმმართველობები. კომიტეტმა მიზნათ დაისახა არც დროებით მთავრობას დაუჭიროს მხარი და არც ბალშევიკებს, ეცდება ეს ცისებს სულ ერთიანი რომელი მხრიდანაც იქნება და თავიდან აიცილოს მოქალაქობრივი ომი. მშვიდობიანობა არავითარით არ დარღვეულა. ჩვენი პლატფორმა ერთგვარი დემოკრატიული მთავრობის შედგენა სახელო სოციალისტებიდან ბალშევიკებამდე. ასეთი პლატფორმით გამოდიან სრულიად რუს. რკ. გზის კავშირი და უკრაინელნი რადაც.

პეტროგრადში დროებით შერიგება მოხდა შეთანხმების პირობების შესამუშავებლათ. ცენტრალურ კომიტეტის ნაწილი გავიდა, რადგან შეთანხმების წინააღმდეგი იყო. ლენინმა ჯარების კომიტეტებს მისწერა თვით აირჩიონ რწმუნებულნი პეტერთან მოსალაპარაკებლათ დროებით შერიგების შესახებ. ხარკოვში ბალშევიკები ბიტატიას ეწევიან მთავრობის წუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების ხელში გადასვლის შესახებ. ქარხნებში ხელახლად არჩევნები ხდება, და იმედი აქვთ საბჭოში მეტი თავისი წარმომადგენლები გაიყვანონ. საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ გადიჭრით გაწყდიან უკრაინელები, რომელთაც ქალაქში თავიანთი ჯარები ჰყავთ. რადგან უკრაინაში სულ მთავრობათ გამოაცხადა თავი და ხარკოვის გუბერნია უკრაინას შეუერთა. ამიტომ ბალშევიკებსა და უკრაინელებს შორის მეტად გაფშვავდა მდგომარეობა და ერთ გამოდგება საქმე არ ვიცით. ასეთ ვე მდგომარეობაა კიევშიაც. ყველაზე მეტათ დაბალია სამოქალაქო ომის გამომსკვი.

მოსკოვის გაზეთები ახლად გუშინ გამოვიდა, პეტროგრადში ბურჟუაზიული გაზეთები ჯერ კიდევ დახურულია.

კადეტები სარდაფებში ჩაიმალენ და გამოაცხადეს, რომ დემოკრატიულ პრინციპებისათვის იბრძვიან. დამფუძნებელ კრებას არჩევნები მაინც ვადაზე ადრე. საზღვარ გარეთიდან ჯერ კიდევ განსაზღვრული ცნობები არ არის. რასაკვირველია, სოციალურ რევოლიუციის არავითარი ნიშნები არ არის.

ტროცკი ეძებს საიდუმლო ხელშეკრულებებს და ჯერაც ვერ უპოვნია. გუშინ მან გამოაცხადა, რომ იპოვნა ეს ხელშეკრულობები და წაიკითხა და რომ ის ცინიკურია, ვიდრე ჩვენ გვეგონა. ის ამბობს, რომ ამ დღეებში გამოაქვეყნებს, რატომ ეხლა არ აქვეყნებს არ ვიცით.

მასში უკვე უკმაყოფილებამ იჩინა თავი. ბალშევიკების მოსწრეები ყვირიან ძარს ლენინი და ტროცკი. მოსკოვის ქალაქის საბჭო გარეკეს.—უნდათ პეტროგრადისაც გარეკონ.

ცნობები გვაქვს, რომ ვორონეჟი ბალშევიკების ხელშია. იქ ისეთივე ტერორია გამეფებული, როგორც სატახტო ქალაქებში. დონის ოლქში კალედინმა სამხედრო წესები გამოაცხადა. იქ ზოგიერთ ადგილებში გარეკეს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები, მაგრამ ეხლა ისევ ადგილზე ეს. მთელ ოლქში სიწყნარეა. როგორც გვაცნობებენ, ყაზახები არც ხარკოვისკენ წამოსულან და არც ვორონეჟისკენ.

(გაზეთებიდან).

ვლადიმერის სახელობის გამოხვეა.

სამხედრო-რევოლიუციონერ კომიტეტის განკარგულებით 26 ოქტომბერს ვლადიმერის სასწავლებლის ყველა იუნკერებს იარაღი ჰქონდათ. ამ დროს სასწავლებელში მხოლოდ 150 იუნკერი იყო, რადგან უფროსი კურსი დათხოვილი იყო 30 ოქტომბრამდე დაუმკროსი 3 ნოემბრამდე. იუნკერებს ალელვებდა ეტყობოდათ, მაგრამ დამოუკიდებელ გამოსვლის შესახებ არავინ არაფერს ფიქრობდა, თუმცა ყველა იუნკერები საზოგადოებრივ დაცვის კომიტეტის განკარგულებაში თვლიდენ თავს. 27 ოქტომბერს სასწავლებელში მივიდა საზოგადოებრივ დაცვის კომიტეტის წარმომადგენელი კომიტეტის მიერ მიცემულ ოფიციალური მოწმობით და განაცხადა, რომ ის გამოგზავნეს სასწავლებელში, რადგან განზრახული იუნკრების და ყაზახების საერთო გამოსვლა და აგრეთვე კერენსკის ჯარის შემოსვლა პეტროგრადში, იუნკრებმა წინადადება მისცეს გამოსვლა დილამდე გადავადოთ, სანამ კომიტეტისგან ნამდვილ ცნობებს მიიღებდენ, ან თვით იუნკრები დარწმუნდებოდენ საზოგადოებრივ დაცვის კომიტეტის წარმომადგენლის განცხადების სინამდვილეში. მაგრამ კომიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაცდა ყოვლად შეუძლებელია, რადგან ყველ წუთს ელიან სამხარ მოქმედების დაწყებასო. დამახასიათებელია ის გარემოება, რომ საზოგადოებრივ დაცვის კომიტეტის წარმომადგენელ თვის მოტორისთვის სამხედრო რევოლიუციონურ კომიტეტის ნებართვა ქონდა, ასეთივე ნებართვა ჰქონდათ ზოგიერთ იუნკრებს, რომლებსაც სადღაც ეწოვნათ ფულით. რამდენიმე ხნის შემდეგ სასწავლებელში მოვიდა ორი ჯარისკაცი, გამოუძახეს პორიგ აფიცერს და წარუდგინეს რა ავქსენტიევის და პოლკოვნიკოვის მიერ ხელმოწერილი საზოგადოებრივ დაცვის კომიტეტის ბლანკზე დაწერილი მოწმობა და განაცხადეს, რომ სასწავლებელში დაუყოვნებლივ სოვა კომიტეტის მიერ გამოგზავნილი დამკვრელი რაზმის 15 ჯარისკაცი, აფიცრებმა და იუნკრებმა განაცხადეს, რომ დამკვრელი რაზმელები საჭირო არ არის, რადგან სასწავლებელში იარაღი არ არისო. ასეთივე წერილობითი პასუხი მისცეს ჯარისკაცებს. დილის ექვსი საათი იქნებოდა, რომ უცბათ იუნკრები გაღვიძეს. მათ დაუყოვნებლივ იარაღი აჰყარეს ქიმიურ როტის ჯარისკაცებს, რომლებიც დარაჯების როლს ასრულებდენ სასწავლებელში. ამ დროს სასწავლებელში შემოვიდა დამკვრელ რაზმის 30 შეიარაღებული ჯარისკაცი და იუნკრებთან ერთათ იარაღი აჰყარეს სასწავლებელში მყოფ ჯარისკაცებს. ჯარის კაცებს უნდოდათ სროლა აეტეხათ, მაგრამ გარს შემოერტყნენ და იძულებული გახდეს დანებებოდენ. მხოლოდ ტყვიისმფრქვეველთა კომანდა, რომელიც სროლას ასწავლიდა იუნკრებს, დილხანს არ დანებდა და ისროდა. ქიმიურ როტის ზოგიერთი ჯარისკაცები, რომლებიც მათი აწხანაგების იარაღის აყრის დროს მათთან არ იყვენ ამ დროს, ეზოში იყვენ. იუნკრებმა მათ დაუძახეს, მაგრამ არ მოვიდენ. მაშინ ერთი იუნკერი ძირს დაშვებული რევოლვერით ხელში მივიდა მათთან და ლაპარაკი დაუწყო, ამ დროს მოვიდა რამდენიმე იუნკერი, ეცენ ჯარისკაცებს და იარაღი აჰყარეს. რადგან ტყვიასმფრქვეველთა „კომანდის“ ზოგიერთი ჯარისკაცები არ დანებდენ და განაგრძობდენ სროლას, იუნკრებს არ შეეძლოთ პავლოვის სასწავლებელში წასვლა, რომ შეერთებოდენ იქაურ იუნკრებს, რადგან იძულებული იყვენ დაეცვათ სასწავლებლის ყველა შესასვლელ-გასასვლელი. ამ დროს სასწავლებელს მოადგა ჯავშნიანი ავტომობილი. იუნკრებმა ტყვიები დაუშინეს და აიძულეს იგი წასულიყო.

საჩქაროთ გაჩნდენ წითელ გვარდიელები და სასწავლებელს გარს შემოერტყნენ, მათ შეუერთდენ მეზღვაურნი და დაიწყეს სროლა. მოვიდა სამი ჯავშნიანი ავტომობილი და შემოსასვლელ კარებთან გაჩერდა. იუნკრები ისროდენ. მათ გაიფიქრეს ერთი ჯავშნიანი ავტომობი. ამ დროს იუნკრებს პატრონები შემოეკლდათ. ზოგიერთები გაიქცენ იარაღის სახელოსნოში, რომ პატრონები მოეტანათ, მაგრამ დაკეტილი დახვდათ. ამან არეულობა გამოიწვია იუნკრებში და ზოგიერთებმა დაიწყეს ყვირილი ეს პროვოკაცია არისო. მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ პატრონები ცოტა და დარჩენოდათ ბრძოლა გაგრძელდა. ჩქარა მოიტანეს სამი ზარბაზანი და სამ მხრიდან დაუშინეს სასწავლებელს. ერთ ერთ ზარბაზნებიდან კედელი შეანგრიეს. იუნკრებში მრავალი დაჭრილი იყვენ, მაგრამ იგინი მაინც განაგრძობდენ ბრძოლას. მათ გადაწყვიტეს გამოეკეთათ წითელი ბარიკადი, რომ ეცნობებინათ დაჭრილები იყვენ და საჭირო იყო სანიტრის დახმარება, მაგრამ ასეთი ბარიკადი ვერ იშოვნეს, ამიტომ თეთრი ჩვრები მოსვარეს სისხლში და ჭიჭაში გადაისროლეს. გარედან ეგონათ, რომ იუნკრები ნებდებოდენ და შეჰკრეს შეწყობაში, იუნკრებმა ტყვიები დაუშინეს და წითელ გვარდიელები და მეზღვურნი იძულებული შეიქნენ დანებებულიყვენ.

უკანასკნელი ამბები პროვინციებში.

კიევში შესდგა რევოლიუციის დახსნის სამი კომიტეტი (საბჭოს, ქალაქის და მთელი ხბრის) ამ კომიტეტებში ორი, ქალაქის და საბჭოს, კომიტეტები ერთი მეორეს ეჭიდებიან, ერთი მეორეს არ სცნობს. ამ კომიტეტების გარდა არის კიდევ კანონიერი მთავრობა, რომელსაც ქალაქის კომიტეტი მხარს უჭერს და დანარჩენი ორი კი არა. ნეიტრალური პოზიცია უჭირავს მთელი ხბრის კომიტეტს, რომელიც შედგენა რადამ. გარდა ამისა აქტიორები გამოვიდა ყაზახთა ფრონტის ყრილობა. ამ გვარათ, შესდგა რაღაც ერთი მეორეს საწინააღმდეგო, რაღაც ქაოტიური, რომელიც მზათ არის დაიგრგვინის და ჰაჭაჭუხილი ასტყდეს.

ეს მოსალოდნელი ჰაჭა-ჭუხილი უკვე ასტყდა. ქუჩებში უკვე სროლა დაიწყო. მიღებული უკიდურესი ზომები სისხლის ღვრის თავიდან ასაცდენათ.

სამხრეთ დასავლეთის ფრონტის აღმასრულებელ კომიტეტში ცნობები მოდის, რომ ჯარები ფრიად აღშფოთებულია ბოლშევიკების გამოსვლის გამო, რომელიც დაწყებულ კრების მოწვევას საფრთხეს უმზადებს.

ადესაში ჯანყების შესახებ ცნობამ ებრაელთა დარბევას ნიადაგი მოუმზადა. ყოველ წუთს ელიან, რომ ბნელი ძალები ასარგებლებენ ამ გარემოებით და ებრაელების დარბევას დაიწყებენ. მდგომარეობა ისეთი შეიქმა, რომ ბოლშევიკებმა ფარი სთქვეს გამოსვლაზე, რომ ამით ხელი არ შეუწყონ რეაქციონერებს და ებრაელების დარბევა არ გამოიწვიონ.

ეკატერინოსლავში შესდგა დროებითი რევოლიუციონური პირო ყველა ფრაქციების წარმომადგენელთაგან, რომელმაც იკისრა ქალაქში წესიერების დაცვა. მდგომარეობა საშიშია.

ხარკოვში მთავრობა საზღვრო რევოლიუციონურ კომიტეტის ხელში გადავიდა, სადაც შევიდენ ქალაქის საბჭოს წარმომადგენლებიც. ყოველივე ზომებია მიღებული, რომ შეტაკებები არ მოხდეს.

ასეთივე კომიტეტები შესდგა დონის როსტოვში, კურკში და სხვა ქალაქებში.

მოსკოვის ამბები.

31 ოქტ. მოსკოვში შემდგი მდგომარეობა იყო: რაგორც კი დაიწყო ბრძოლა სრულიად რუსეთის რკ. გზ. კავშირის მოსკოვის ბიუროს ულტიმატუმი დაუყენა სამხედრო-რევოლიუციონურ და საზოგადოებრივ დაცვის კომიტეტს და ჯარების უფროსებს, რომ დაუყოვნებლივ მოეხდინათ დროებითი შერიგება და დაენიშნათ შემთანხმებელი კომისია. ამასთანავე მან განაცხადა, რომ ის მიემხრობა იმას, ვინც მიიღებს ამ ულტიმატუმს. სამივე მხარემ მიიღო ეს ულტიმატუმი და ბიუროს საშუალებით 30 ოქტომბერს დიმის 12 საათზე შეწყვიტეს ბრძოლა და დროებით შერიგდენ ერთი დღე ღამით შეთანხმების პირობების შესამუშავებლათ. ქუჩებში მებრძოლ მხარეებთა უფროსებათ გაგზავნილ იქნენ რკინის გზის მთავარ კომიტეტების წარმომადგენელნი. 30 ოქტომბერს მთელი დღე მოანდომეს შეთანხმების პირობების შემუშავებას, მაგრამ, რადგან ერთ დასკვნამდე ვერ მივიდენ, დროებით შერიგება კიდევ ერთი დღით გაგრძელეს 31 ოქტომბერს 12 საათამდე. სრულიად მოულოდნელათ, 30 ოქტომბერს, 12 საათზე, სამხედრო-რევოლიუციონურ კომიტეტის წევრებმა განაცხადეს, რომ შეთანხმების პირობებს იგინი ვერ მიიღებენ და შერიგება დარღვეულია. ამიტომ ბიუროს სამივე მხარეთა წარმომადგენლებისაგან შემდგარი შეიარაღებული ჯარები, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო, უნდა დაშალოს, 4) მებრძოლ მხარეთა წარმომადგენლობისაგან სდგება დროებით კომიტეტი. 5) სდგება სამომძებნელო კომისია მოსმხდარ ამბის გამოსაძიებლათ. 6) შეთანხმების შემდეგ ჯარები ჯარების უფროსის ხელში გადადიან და თავ თავიანთ ნაწილებში მიდიან. ყველა ამ მუხლებიდან მხოლოდ პირველ მუხლის მიღება, სადაც ლაპარაკია საგანგებო კომისიის შედგენაზე. ამ გარემოებამ გამოიწვია დროების შერიგების ხანგრძლივება.

31 ოქტომბერს მთელი დღის განმავლობაში ქუჩებში ბრძოლა იყო. მძიმე ზარბაზნებიდან ესროდენ ტყვიის, ნიკიტის და მიხაილის ქუჩებს. კდიტის კორპუსი სულ დაანგრიეს. ქალაქის სხვადასხვა ნაწილებში აუარებელი დაჭრილ-დახოცილები ყოფილან. ძალაზე დაბარალდენ მცველები, უმეტესათ ლეფორტოვის რაიონში.

პროვინციის ცხოვრება

ხ. ჩიბათი (გურია). 5 ნოემბერს ჩიბათის ს. დ. კოლექტივის ინიციატივით შესდგა მასსიური კრება. გურიის ცენტრ. კომიტეტის წევრმა ამხ. სერგო წერეთელმა მოხსენება გააკეთა დღევანდელი მომენტის შესახებ. შეეხო ბალშევიკების უდროვო გამოსვლას და ის აზრი გაატარა, რომ საჭიროა შეთანხმებით და მორგებით საქმის მოგვარებაო. ჩვენ უნდა ვცადოთ რევოლიუციონურ დემოკრატიის ფრონტის გაერთიანებას, რომ შეგეძლოთ რევოლიუციის მიყვანა თავის ლოგიკურ დასკვნამდეო. ხალხზე სიტყვამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. შემდეგ ამხ. წერეთელ დამფუძნებელი კრების ნიშანშენლობას და სთქვა: რაც უნდა დაგვიჯდეს, დამფუძნებელი კრება ჩაინც დროზედ უნდა ქქნას მოწვეულიო და მოუწოდა ხალხს მხურვალე მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში. ამის შემდეგ მან აუხსნა ხალხს სოციალ-დემოკრატიის როლი მოძრაობაში და მოუწოდა ხმა მიეცათ სიას № 1-სო. ხალხი ამ წოწოდებას ცხარე ტაშის ცემით შეხვდა. ამის შემდეგ აირჩიეს კომისია, რომელიც ხელს შეუწყობს არჩევნების სასურველათ ჩატარებას. დაბოლოს გახსნილ პირველ დაწყებითი სასწავლებლის სასარგებლოთ შეგროვდა შემოწირულების სახით 900 მან., წინა კრებაზედ შეგროვდა 1800 მ.

ᲒᲣᲚᲔᲗᲔᲚᲘ.

ᲣᲫᲠᲐᲕᲚᲘᲐ. ადგილობრივი სოც. დემ. პარტია და აღმასრულებელი კომიტეტი გაორკეცებული ენერგიით მუშაობენ დამფუძნებელ კრების კამპანიაში. მიუხედავათ იმისა, რომ ძალები ცოტაა, მაინც შესძლეს ყველა სოფლებში და დაბა-სადგურებში გაებათ პროპაგანდის ქსელი. ეწყობა მიტინგები, კრებები და უხსნიან თანამედროვე მომენტს, დამფუძნებელი კრების მნიშვნელობას, არკვევენ პარტიულ პლატფორმას. ყვირილა-შორაპნის მუშა-მოსამსახურეები, ნოქრები და სხვა დარგის მშრომელი ხალხი არ დალატობს ტრადიციას. რუსეთის რევოლიუციიდან 1903 წ. გადმასროლილი ნაპერწკალი გაძლიერდა და იქცა ცეცხლის ალათ, რომ მოვლინებულმა მკვლელმა რეაქციამ ვერ შესძლო მათში ჩაეკლა რევოლიუციური სული.

სამწუხაროდ, აქაც მოიპოვება მცონარე ხალხი, ზოგიერთი დვინო-ქეიფში ახლაც არ იღებს ხელს. ასეთ სამწუხარო მოვლენას ადგილი აქვს რკ. გზის და დეპოს ზოგიერთ მოსამსახურეებშიაც.

ყვირილის ქალაქის არჩევნები სხვადასხვა დაბრკოლებების გამო ვერ მოხერხდა. მიხდება დამფუძნებელი კრების არჩევნების შემდეგ.

ᲡᲐᲭᲐᲠᲔᲚᲘ Ბ.

ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ. 5 ნოემბერს ბორჯომში მოხდა საქალაქო არჩევნები. საარჩევნო სამხედისს ადგილობრივი დემოკრატია ჯერ კიდევ წინადღით შეუდგა. ვაჭრები და რეაქციონერები თვითმართველობის შემოღებას თვითდენე მტრულათ შეხვდენ. ეწეოდენ პროპაგანდას მოქალაქეთა შორის, რომ თვითმართველობა, გარდა ზედმეტ ხარჯებისა, არაფერს შეგვძენსო. ამიტომაც არჩევნებში უმთავრესათ საზოგადოების დემოკრატიული ნაწილი იღებდა მონაწილეობას. დანარჩენი კი მაგნე აგიტაციის წყალობით გარიყული დარჩენ. საარჩევნო მიტინგი დანიშნული იყო რემერტოვის პარკში, დილის 9 საათზე, რომელზედაც ილაპარაკეს ს.-დ., ს.-ფ. და ს.-რ. რეალტორებმა. ქ. ხაშურიდან გვეწვია მუსიკით ხაშურის დემოკრატიის წარმომადგენლები. ილაპარაკეს ყველა პარტიის წარმომადგენლებმა. აღსანიშნავია ფედერალისტების ორიგინალური გამოსვლა ბორჯომის არჩევნებში. მათი ორატორები გამოდიოდენ ჩვეულებრივი დემაგოგიით და ცილის წამებით. სხვათა შორის, მათმა ორატორმა ვად—იმ კაკი წერეთელს ასეთი ცილი დასწამა, თითქოს ის ომის ბოლომდე გაგრძელების მომხრე იყოს და სხვ. დანარჩენი ორატორებიც გამოდიოდენ არა პროგრამული კრიტიკით, არამედ—ერთგვარ საბრალდებულო ოქმით ს.-დემოკრატიის წინააღმდეგ, მათ ხალხი პროტესტებს და უნდობლობას უცხადებდა. საერთოთ ამ კრებაზე მათ დამშტკიცეს თავისი არარაობა, როცა ამაში თითონაც დარწმუნდენ, მეორე დღეს საკუთარი სიის მაგივრათ, მათ წარმოადგინეს შემდეგი შინაარსის განცხადება: ვინაიდან ჯერ ხალხს არ აქვს საკმაოთ გათვალისწინებული თვითმართველობის მნიშვნელობა და მონაწილეობას არ იღებენ, ჩვენც არ ვიღებთ მონაწილეობას არჩევნებშიო. ამნაირათ, ისინიც გვერდში ამოუდგენ ადგილობრივ რეაქციონერებს და მათ ამყოლ ვაჭრებს და მოიკოდნენ გამოუცხადეს თვითმართველობის არჩევნებს. სხვაგან ფედერალისტები ებრძოდენ ს.-დ. პარტიას, აქ კი იმდენათ დაწვრილმანდენ და დახურდავდენ, რომ თვითმართველობას გაებუტნენ. ამის შემდეგ ჩვენ საბანი გვაქვს ვიფიქროთ, რომ იმ მაგნე პროპაგანდაში, რომელსაც ბორჯომელი რეაქციონერები აწარმოებდენ, წილი უდევთ თვით ადგილობრივ ფედერალისტ დაშნაკელებსაც, ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ ამის წინააღმდეგ მათ კრიტიკა არ დაუძრავთ, პირიქით, არჩევნების დღეს ასეთ მოქმედებას კვერსაც უკრავდენ. მიუხედავათ ბოიკოტისტების ცდისა და სურვილისა, არჩევნები კანონიერათ ჩატარდა და ყველა სოციალ-დემოკრატები იქნა არჩეული. ფედერალისტების საქციელი კი წარუშლელი დარჩება ბორჯომის თვითმართველობის დაარსების ისტორიის ფურცლებზე. აღსანიშნავია მათი წევრის მ. სარალიძის სანდისიერი მუშაობა საარჩევნო კომისიაში, რომელმაც არ გაიზიარა მათი სამარცხვინო ტაქტიკა და ენერგიული მონაწილეობა მიიღო არჩევნებში.

ნოდე.

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲐᲮᲚᲘ.

სახ. სახ. არს. ქართვ. წარ. მშარ. წრის მიერ **ორშაბათს 13 ნოემბერს, წარმოდგ. იქნება**

ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲙᲚᲘ

დრამა 3 მოქ. ი. გედევანიშვილისა.

ადგილების ფასი 1 მ., 20 კაპ.-დან 25 კაპ. დე.

დასაწყისი ხდება 8 საათზე.

ბილეთების კასა დიას ყოველ დღე დილის 12—2 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. შემდეგი წარ. 19 ნოემბ. რეჟ. კ. შათირიშვილი.

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ

საარჩევნო ხმის მისაცემათ თვითსიარულით ვერ მოსულ ხმის მქონე მოქალაქე ბინადრობისდა მიხედვით ქალაქის გამრკვსველის მოქალაქობრივი ვალის მოსახდელათ.

1.	საარჩ. უბნის	ბიურო	მოთავსებულია სამხატვალოს თეატრში.
2.	„	„	ფანჯარაძის სახლში (ვაკეს პრ.).
3.	„	„	საქალაქო სკოლაში (ოლდას და წყნეთის ქ. ქიმი, № 52).
4	„	„	საქალაქო სკოლაში (ჰასან ჯალალოვის სახ. იზმაილ-ბეგლინსკის ქ.-ქიმი
5	„	„	სამიწათმზომლო სასწავლ. (გუნიბის ქ., მირზოევის სახლი).
6.	„	„	ზუბალაშვილისეულ ღარიბთა თავშესაფარში (სასამართლოს ქ.)
7.	„	„	მამადავითის საქალაქო სკოლაში.
8	„	„	სახარისტო საზოგადოებაში (გოლოვინის პრ.).
9.	„	„	ვეტთა პირველ გიმნაზიაში (გოლოვინის პრ.).
10	„	„	საქალაქო საპროფესიო სკოლაში (ტფუკოვსკის ქ.).
11.	„	„	ქალთა მესამე გიმნაზიაში (ბებუთოვის ქ.).
12	„	„	პუშკინისეულ საქალაქო სკოლაში (ოფრკიანის სახლი, ბებუთოვის ქ. და კოკორის შესახვევის ქიმი).
13	„	„	ხელოსანთა გამგეობა (რუსის ქ. ბოლოს, ნერსესიანი სემინ. სახლი).
14	„	„	საქალაქო სახელოსნო სასწავლებელში (ერეკლეს ქ.).
15.	„	„	კათოლიკეთა ეკლესიის სკოლაში (კათოლიკეთა ქ.).
16.	„	„	მუსულმანთა დრამატიულ სახოგ. აუდიტორიაში (ბოტანიკ. ქ.).
17.	„	„	საქალ. პუშკინისეულ სკოლაში (სურპ-სარქისის ქ.).
18	„	„	ტოლდეს ქარხანაში (ვორონცოვის ქ.).
19.	„	„	პირველ დაწყებით სკოლაში (კახეთის ქ. № 60).
20	„	„	სადგომნაწილ. პუნქტი (წინად ნიკოგორიოდის პოლკის ყაზარმები).
21	„	„	ნადიადის სახელობის თავშესაფარში (რიონ ერის ქ.).
22	„	„	ქალ. სკოლაში (ნუნუფაროვის სახ., ავლაბრის ქ.ტ როზოვის მიედ.ქიმი.
23	„	„	არაქიანის თეატრში.
24	„	„	ავლაბრის კლუბის სახაზმთრო შენობაში.
25.	„	„	ნიკოლოზისეულ უმაღ. პირველდაწყებით სკოლაში (კახეთროვის ქ.)
26.	„	„	ტერ-ხაჩატურიანცის სახლი (რკინის გზის ლიან. იქით, პროექტირ. ქ. მირზოევისეულ მიმდ., ებრ. „ალორძინების“ განყ. გვერდით).
27.	„	„	მეორე საკომერციო სასწავლებელში (პანასეიჩის ქ.).
28.	„	„	მეოთხე მომზ. მოსამზრ. განყოფილებაში, (სურპ-ჯარაპეტის ხევით).
29.	„	„	ნოლაკანთა საქველმოქ. სახ. სკოლაში (დესიმონოვის ქ.).
30.	„	„	სახელოსნო კლუბში (მიხეილის პრ.).
31.	„	„	მესამე მომზრ. მოსამზრ. განყოფილებაში (ტურგენიევის ქ.).
32.	„	„	პეტრე დიდის საქალაქო სკოლაში (ჩერქეზიშვილის ქ. № 29.)
33.	„	„	ნადიადევკაში, ანტონოვის ქ. ბოლოს, მუშათა კლუბში).
34.	„	„	ძმ. სცილ ნოვების ფაბრიკაში (ბატარეინი და ელისაბედის ქ. ქიმი).
35.	„	„	სანიტარისტო საზოგ. სახაფხულო შენობაში.
36.	„	„	ავჭალის აუდიტორიაში (ავჭალის მოედანი).
37.	„	„	მეტეხელოვის სახლში (ლოტკინის ქ. № 24).
38.	„	„	ნაძალადევის თეატრში.
39.	„	„	საქალაქო ვაგზლის სკოლაში (პავლოვსკის და ჩერქეზიშვილის ქ. ქიმი № 11|2).
40.	„	„	ამხანაგობა „სვეტის“ კანტორაში (რკინის გზის ლიანდაგთან).
41.	„	„	ბავშვებისთვის მზრუნველ საზოგადოების სკოლაში (დიდუბის და დინდუგ-კორსაკოვის ქუჩების ქიმში).
42.	„	„	სამღვდ. სკოლაში (მუშტაიდის შესახ.).
43.	„	„	ავჭალის წყალსადენის სადგურში.
44.	„	„	სადგური ნავთლული (ნავთლული ბაქოსი და კახეთისა, კახეთის რკ. გზის დეპო და საქალაქო ახალი სასაკლაო).

ამხანაგებო და მოქალაქენო! სახლებში დარიგდება მხოლოდ სახელობითი ბარათები (именныя удостовѣренія). კონვერტები დარიგდება საარჩევნო უყუთებთან. კონვერტების მიღება შეიძლება საარჩევნო ბარძაზში შესვლის დროს. უნდა წარდგენილ იქნას სახელობითი ბარათი. ვისაც სახლში არ მიუტანენ სახელობითი ბარათის, მას შეუძლია მიიღოს ის საარჩევნო ბარძაზში. საარჩევნო ბარძაზში ყველაგან იქნებიან ჩვენი პარტიული ამხანაგები. მოსთხოვეთ მათ ყოველგვარი ახსნა-განმარტება-დახმარებანი, რათა არც ერთი ხმა არ დაკარგას ჩვენს პარტიას. გახსოვდეთ, რომ ჩვენი, სოციალდემოკრატიულ პარტიის საარჩევნო ბიულეტენია № 1. როცა მიიღებთ ბეჭედ დასმულ კონვერტს, თუ თან არ გექნებათ ბიულეტენი № 1, იქვე შეგიძლიათ მიიღოთ ეს ბიულეტენი. ჩადეთ კონვერტში № 1 ბიულეტენი; კონვერტი დაბეჭდეთ და ჩაუშვებთ საარჩევნო ყუთში. ამით თქვენი მოქალაქობრივი ვალი მოხდილი იქნება.

კბილის საკითხი

და ლაბორატორია ხელოვნური კბილებისა დაარსებული

ბ. ზაივინა-შინკარევის

მიერ, თფილისი, მიხეილის პრ. ს. № 76.

ავათმყოფები მიიღება განუწყვეტლივ დღისით და ღამით.

ღამით მოთავსდება ძვირფასი.

ნ ნოემბერს, მგზავრობის დროს, სად. გურჯაანიდან სად. თფილისამდე

დავკარგე

ბილეთი № 17805 მოცემული თფილისის სამილიციო სამართველოსგან, მოვიხელს ვსთხოვ მოგვიტანოს: Тифлисъ, Тифлисская ул. № 31. Аветику Паремузовичу Джалалову.

ექიმი ზ. ბ. ვეშხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღეს 5 ნახ. საათამდე. ვარონცოვის ძველ პირდაპირ, რაზიუშვილის ქუჩა, № 19

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ

ბ. დონაძინი

ყოფილი ახალციხეში პარიზის მთავარ კლინიკის ექიმი

თვალის ძირითადით ავადმყოფობებს.

დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. **მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის სახლში).**

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲗᲐᲜᲐᲨᲠᲛᲔᲚᲘ

ვლ. ი. თავართქილაძე

დებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყველაზე ცუდ, კანის ქვეშ წამლის შეშხაპუნება, მასსაჟი და ელექტროსინათლე. ტეხნიკური ქუჩა, № 4

ექიმი ბ. მ. მესხაძე

იღებს სანოსტაქარო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე ქვაშის დღის გარდა, მისამართი: დიდი მოედნის ქუჩა № 67; თფილისის გუბერნიის სან. ნაწილის პირდაპირ, სან. სადანიშნოში. ტელეფონი № 5—77.

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი

ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—8 ს., კვირა დღის გარდა.

ჭაშნიევის ქუჩა, № 4, სასტუმროს ფიშხანელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

თფ. გუბ. დარიბ მოწაფეთა შემწე სახოგ. გამგე კომიტეტი

აცხადებს, რომ 17 ამა ნოემბერს, ხალამოს შვიდ საათზე, ქართულ გიმნაზიის შენობაში დანიშნულია სახოგადოების

ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ

განსახილველია საკითხი სახოგადოების წესდების ზოგიერთი მუხლის შეცვლის შესახებ.

ახალ სრულ-უფლებიან

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲒᲘᲛᲜᲐᲖᲘᲐᲨᲘ

ორთავე სქესის ყმაწვილთათვის

სწავლა უკვე დ წყო. მიღება გრძელდება უეგზამენოთ, მიღებულების გადარჩევა მოხდება 20 და 21 დეკემბერს პირველ კლასში და მოსაამაღლებელ განყოფილებებში მოსაოთავსებლათ, მიიტანეთ მათი ცოდნისა, ნიჭისა, შრომის მოყვარეობისა და უნარისა. იანვარში მიღების მუშაველობა ეკნებათ გამოცდა დეკემბერში 22 და 23, იანვარში 5 და 8.

მისამართი: ვერის უმაღლესი პირველ-დაწყებ. სასწავლებელი, არაგვის ქ., სიმონოვის სახლი № 2.

15—3 დამფუძნებელი ს. და თ. გრიაზნოვები.